# საერთო გაზეთი

№37 (542) • 30 ოქტომბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



როგორ უნდა მოიქცეს საქართველოში ღირსეული მამულიშვილი რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან?

## ეს ბანდიტი, ეპისკოპოსი კი არ უნდა იყოს, ციხეში უნდა იჯდეს!





# რა სპექტაკლებს დგამენ „ტაქსისტი“ ქაცარავა და „ჩახდილთა საძმო“ შიდა ქართლში?

ამერიკელებს რა უნდათ - ვხვდებით, რუსებს რა უნდათ - გასაგებია, მაგრამ საქართველოს რა უნდა, ვინმემ იცის?

ქართველი სულ რომ „ყურებზე დადგეს“, რუსი მაინც მოძებნის მიზეზს, ამიტომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანას ჭირდება

## გაზომილია, აწონილია, გაყოფილია



მენე — გაზომილია თქვენი გზა და ერთი მტკაველის დადებაა სულ, მეტი არა.
ტეკელ — აწონილია თქვენი პოლიტიკური წონა და სასწორი ნულს აჩვენებს.
ფარეს — გაყოფილია თქვენი ავტორიტეტი და ნახევარი სააკაშვილს ეკუთვნის, ნახევარი — ოქრუაშვილს.

ჩვენი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ძველი, დაკარგული მოსკოვის ნაცვლად „ახალ მოსკოვს“ ვეძებთ

გიული ალასანიამ პენსიით ნიკა გვარამიას „უბორნიის“ წილი იყიდა?!

# გაზეთი გაზეთში!

სხვა დრო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის გაზეთი

N3. 30 ოქტომბერი, 2019 წ.




31 ოქტომბერს 16.00 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართება მწერალთა ეროვნული აკადემიის ჟურნალის „სხვა დრო“ პრეზენტაცია.
დასწრება თავისუფალია.
გთხოვთ, გვეწვიოთ!

# ზნეობრივი კრიზისი და ბრძოლა ღირსების წინააღმდეგ

## როგორ უნდა მოიქცეს საქართველოში ღირსეული მამულიშვილი რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან?

მოდით, დავსვათ კითხვა: რა უნდა აკეთოს და როგორ უნდა მოიქცეს ღირსეული მამულიშვილი საკუთარ სამშობლოში, საქართველოში რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ, ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან, რომ არ დაუწყონ დევნა და განდევნა საკუთარი სამშობლოდან...

ყველა ადამიანის სულს ვერ ამოავსებ ვერც სიკეთით, ვერც სიყვარულით\. ...

ვისაც მეტს მისცემ და მიაწოდებ: იტყვის, უფრო მეტი მეკუთვნოდაო და მტრად გექცევა.

ვისაც არ მისცემ, ისიც მტრად მოგეკიდება\. ...

ვისაც ბევრს წაართმევ და ცოტას დაუბრუნებ, ის უფრო მადლობელი დაგრჩება: იფიქრებს, იქნება, დარჩენილიც დამიბრუნოსო...... ეს არის ქართველთა ფსიქოლოგია.



●

„შიში შეიქმს სიყვარულსა“, — ბრძანებს გენიალური შოთა რუსთაველი, ანუ „მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო“, ამასაც ამბობს ძველი ქართული სიბრძნე. ეს —„პარადიგმები“ დიდი ჭეშმარიტების შემცველი აღმოჩნდა.

ბიძინა ივანიშვილს არც არავინ შეუშინებია, არც არავინ დაუხრჩვია......არც არავისთვის წაურთმევია, მხოლოდ გასცემდა და გასცემს, ეტყობა, ამიტომაც მიუბრუნდა ეს დაუსჯელი და დაუჯერებელი (თავზე ხელგადასმული) „გიენების ხროვა“ და ადამიანს, რომელიც განგებამ მოგვივლინა, შეჭმა დაუწყეს...

●

საერთოდ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში: ისევ „რატომ კარგი აგიგიას“ სინდრომი ამუშავდა?!

ისევე, როგორც „დიდოსტატის მარჯვენაში“, „სვეტიცხოვლის“ ამშენებელს მარჯვენა მოჭრეს, „სამების“ (საუკუნის ტაძრის) აღმშენებლისთვისაც მარჯვენის მოჭრა უნდათ?!

და არა ოდენ სამების აღმშენებლის, ყოველი ტაძრის (ხუთასამდე!), ყოველი თეატრის, ამდენი კულტურის ცენტრის, არაერთი სამკურნალო დაწესებულების, ყოველი დიდი ეროვნული საქმის, — თუ რომელიმე და რაიმე ამ საუკუნის დამდეგს და წინა საუკუნის დასასრულს კეთდებოდა და კეთდება, ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, მსგავსი საქველო საქმეები, არც ერთ ქველმოქმედს, არც ერთ ბიზნესმენს (გნებავთ, ოლიგარქს) საქართველოსთვის არ გაუკეთებია. მგონი არც რომაელებს უკეთებიათ ასეთი ქველობა.

დიდი სარაჯიშვილი ჩიოდა: ქართველებს თუ შეძლებული კაცი გამოუჩნდა, ყველანი მიესევიან, გაწეწავენ დ მერე სალანძღავად გაიხდიანო... ეტყობა, მანაც გამოსცადა ქართველთა უმადურობა საკუთარ თავზე.

სად, რომელ ქვეყანაში ექცევიან თავის გამოჩინებულ მამულიშვილს ისე უდიერად და უსინდისოდ, როგორც აქ, ამ ბედკრულ საქართველოში.

მაინც, რა დააშავა ივანიშვილმა ისეთი (რა შეცდომა დაუშვა), რომ: კვესიტაძის და გრიგოლიას ტიპის ლაქია ჟურნალისტიც კი თავისი „ლაქარდიანი ენით“ ტარტალს უბედავს?

რა ცილისწამების და დაუსჯელობის ჯოჯოხეთი დუღს ამ ქვეყანაში?

ქვეყნის გამლეტ ხაზარაძეზე იხოცავენ ლაწვებს ჩვენი პოლიტიკანები და ტელე-ლიბერასტები, საკუთარი ქვეყნის და ბუნების სიმდიდრეებს ხომ, ხვრიპავს... და ივანიშვილს ებრძვიან გარედან მოტანილი მილიარდები რომ შეახმარა ამ ქვეყანას...

სწორედ: „რატომ კარგი აგიგიას!“ შურსა და ეგოიზმში „დევს“ ეს ძაღლის თავი და დაუსჯელობის სინდრომში — რაც გინდა თქვი და დააბრალე, როცა შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს,... მით უფრო, „მოენე დიაცს“ ვინ რას ეტყვის...

ერთ საპასუხო ლექსში ვაჟა ამბობს, როდესაც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ და განაქიქებდნენ:

„იქნებ მეც, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა,

ფრთები შევჰკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა,

●

უვარგისობის მიზეზი „ფშავლობა“ არის სწორედა...“

ნახეთ, რა ბრალდება წაუყენა ვაჟამ მეშჩან, მედროვე, ეგოისტ ელიტას\. ... მასა აღიარებდა ვაჟას, მაგრამ გარკვეულ „ელიტარულ კლანს“ არ სურდა, მისი გენიით შეშფოთებულთ, მისი აღიარება.

ალუდას ფენომენიც სწორედ იმიტომ წამოსწია ვაჟამ, რომ „კაი ყმის“ დევნისა და განდევნის „სინდრომი“ უკვე გაჩენილი იყო ქართულ საზოგადოებაში.

●

მაშ, რატომ ვებრძვით და ვუპირისპირდებით კაცს, რომლის მოსვლასა და გამოცხადებას სიზმარში თუ ვხედავდით, თორემ იმდენად დაუჯერებელი იყო, სატანური „მკვლელი რეჟიმის“ პირობებში.

მაშინ მე ვწერდი ჩემს ერთ წერილში: გმირი იბადება უჟამო ჟამის პერიოდში, თითქოს არსაიდან და იგი სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, როგორც კვირია\. ... „შეუძლებლობის“ ჩაკეტილ სივრცეში „პროკრუსტეს სარეცელზე“ მწოლიარე ერს ჰქონდა ასეთი პიროვნების მოლოდინი... და მოვიდა იგი და მოიყვანა უფალმა, და მან შეძლო იმ ურჩხულის დაძლევა, რომელიც 10 წელიწადი ჭამდა და ღრღნიდა ქართველი ერის სულსა და სხეულს, და ეს 10 წელი იყო, ვითარცა 1000 (ათასი), იმდენად მძიმე იყო ეს 10 წელი ქართველთათვის, როგორც ასწლეული მონღოლოიდურ-ხაზარული ეპოქებისა...

ამ ათმა წელიწადმა გადააგვარა საზოგადოება, სატანის რეჟიმმა შეძლო სულიერი, მატერიალური, კულტურული ინსტიტუტების ნგრევა, სრულიად შეცვალა მოზარდთა ფსიქოლოგია მაზომბირებელი მასმედიის (კერძოდ, „რუსთავი-2“ის) მეოხებით...და



როგორც ერთმა ნიჭიერმა მწერალმა ბრძანა, „სააკაშვილი შეეცადა ახალი ქართველი ადამიანის გამოყვანას და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილიო“!

შესანიშნავი, თუმცა საგანგაშო სატირაა: მართლაც ჩერგოლეიშვილებით, ხერხეულიძეებით, ორჯონიკიძეებით, გაბუნიებით, კოჟორიძეებით, სამადაშვილ-ხოშტარიებით და მისთანებით აივსო ეს ქვეყანა... და უფრო უარესი, ფეისბუკის ვირთხებით.

მართლაც მან 10 წელიწადში 1000-წლეული ზიანი და ზარალი მიაყენა ქვეყანას, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დააკარგინა ტერიტორიების კიდევ 1/3.

ახლა ეს პოლიტიკური მეძავები ისევ ივანიშვილს უმართავენ „ანტისაოკუპაციო“ მიტინგებს საკუთარი ცოდვების გადასაფარად...

●

მაინც რა „დააშავა“ ივანიშვილმა, ან დააშავა თუ არა, საერთოდ?

დიახ, „დააშავა“, მან ჩამოაშორა ეს ურჩხული და მისი რეჟიმი ქვეყანას, მან შეცვალა სატანის დრო! ეს მოვლენა საეტაპო მოვლენად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში...

ეს იყო მისი დანაშაული სატანისტთა სამყაროსთვის, მან დაამხო სატანის ტირანია, მაგრამ გაუშვა (შეიწყალა) ამ მონსტრის გვამიდან ამოსული „ჭიები“\. ... ახლა ისინი შხამიან გიენებად იქცნენ და ქვეყანას (და ივანიშვილს) სახიფათო ზღვარზე აყენებენ.

რა შეიძლება იყოს პიროვნების, კერძოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ გამოხდომის მიზეზი? არაფერი და ყველაფერი! „დანაშაულია“ მისი ღირსება და ქველობა, მისი მამაცობა, მისი ღვაწლი მთელი ერის და ყოველი ქართველის მიმართ? როდესაც ქველობანი და მაღალზნეობანი განკითხვისა და ლანძღვის ღირსად იქცევა ერში, ის ერი (და ქვეყანა) დიდხანს იქნება ნირვანაში და დარჩება დამარცხებული საკუთარ თავთან და მტერთან.

●

ყოველ საქმეს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს, აქვს შუა და ბოლო ფაზები. ივანიშვილმა (და ერმა) დაძლია ბრძოლის ერთი ფაზა. ახლა მან (ივანიშვილმა) და ერმა უნდა შეძლოს სულიერი და მატერიალური სტაგნაციის დაძლევა და შესვლა განვითარების სხვა ეტაპზე. ივანიშვილმა დაიწყო განვითარების ეს II ეტაპი — მისი დაბრუნებით, რომელსაც მე „მეორედ მოსვლა“ ვუწოდე ჩემს ერთ წერილში.

რამდენიმე არასრულ წელიწადში „ოცნებამ“ და ივანიშვილმა შეძლო რამდენიმე არსებითი პირობის შესრულება:

მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევა.

სოფლის მეურნეობის აღდგინებისთვის რადიკალური ზრუნვა (როდესაც ხევსურეთში ავედი, იქ დამხვდა ტრაქტორი, რომელიც ხნავდა საკარტოფილე მიწას... ალპურ ზონაში, მიწას, რომელიც ნახევარი საუკუნე არ მოხნულა).

კანონი საქართველოს მთიანეთის შესახებ. ეს არის „ოქროს კანონი“, რომელიც ერს შეაბრუნებს ისტორიულ წიაღში, რომელიც მიიღო ამ ხელისუფლებამ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა მთიანეთის თემთა გადარჩენისთვის და ეროვნული ხსნისთვის. (ოღონდაც ამ კანონს სჭირდება უეჭველი შესწორება: მთის ფონდის მიზნობრივად ხარჯვის ასპექტში: თემის აღდგენის და იქ დამბრუნებელთა რადიკალური დახმარებისთვის!).

კანონი ფშავ-ხევსურეთის აღკვეთილის შესაქმნელად. ესეც მეტად სარგებლის მომტანია ისტორიული თემებისთვის.

განათლების გარკვეული რეფორმა. სრულიად დანგრეული

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სისტემის შემობრუნება, უფასო წიგნები, უფასო სწავლება დიდი იაკობის დაბრუნება (!) და ა.შ.

გზების გაყვანა არხოტისა და სხვა მიმართულებით, მუცოსი და სხვა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია.

ბოლო და მთავარი „ომის პოლიტიკის“ დაძლევა, რუსეთთან ურთიერთობის შერბილებაა და მშვიდობის შესაძლებლობის მიცემა ერისთვის. ეს არ არის შეზღუდული დროში. ხელისუფლებამ და ხალხმა უნდა შეძლოს ახალ ფაზაში შესვლა და ისწავლოს მტერთან ლაპარაკი: — სხვა ჩვენ სათქმელს ვერ (და არ) იტყვის…

●

მოდი, დავსვათ მეორე კითხვაც: რა უნდა გააკეთოს გონიერმა საზოგადოებამ, რომ ისეთი ტრაგიკული ექსცესი აიცილოს, რომ ღირსება და ღირსეული კაცი გადაარჩინოს ერში, თემში, ქვეყანაში!..

როგორ უნდა მოიქცეს ერი, რომ გამოკვეთილად ამბიციური და ამპარტავანი გაფეოდალებული კლანი გაანეიტრალოს და გააკეთილშობილოს,… „ამაღლებული“ მონა და მათხოვარი, უვიცი ლიბერასტი თავზე არ დააჯდეს „დამდაბლებულ“ და იარაღაყრილ ქვეყანას?!

როგორ უნდა მოიქცეს გონიერი ერი, რომ არ მოაკვლევინონ ილია ჭავჭავაძე!.. ან, ვთქვათ, ისეთი მოღვაწე და მამულიშვილი, როგორიც იყო კოსტავა, ზურა ჭავჭავაძე, გურამ შარაძე… ან, თუ გნებავთ, ზვიად გამსახურდია, რომელიც პოლიტიკურმა კრუელებმა, ყაჩაღებმა და ყაჩაღების ხელით ჩაკლეს დევნილობაში (ტყეში) და სად და როგორ ათრიეს მისი გვამი, არავინ იცის\. …

მარტყოფის ომის გმირი, რომელმაც შაჰ-აბაზს გამოგლიჯა საქართველო, „ქართველთ“ ქვეყნიდან გააძევეს,… გორგასალს ღალატით იღლიაში დაჰკრეს ისარი — ყველაზე დიად მეფეს ქართველთას — შინაურმა მონამ!!!

„დამჭრეს, თორემ ერთად თორმეტნიც არ მეყოფოდესო!“ — ეს მისი სინანულიანი ფრაზაა…

ხოლო რა ბედი ეწია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომლის წიგნის „საფარველ დადებული იყო ჟამთა შინა“, არავინ იცის…

ჩვენ ერს ეს ავადმყოფობა წესად თუ გენურ თვისებად ექცა: ღირსეულის დევნა და განდევნა; უღირსთა ამაღლება ღირსეულთა დამდაბლებისთვის……

საკუთარ თემში და ქვეყანაში დაუფასებლობა და მოძღვრისათვის შენდობის არ ქონა, ქრისტეს კი მომაკვდინებლად იქცა: „ჯუარს აცუთ ეგე“… ღრიალებდა ბრბო, პილატე „ხელს იბანდა“ ბრბო სჯიდა წამქეზებელთა წაქეზებით. ასე ვართ ახლაც. წამქეზებელთა წაქეზებული ბრბო რუსთაველთან მოითხოვს მავანის გადაყენებას და დასჯას…

●

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსულმა და დღემდე შემორჩენილმა ვანდალებმა ეს უზნეო ზნენი და თვისებანი უმაღლეს რანგში აიყვანეს, მოკლეს, „ჩარეცხეს“, გაანადგურეს, დაასმინეს, დაარბიეს არა ოდენ პიროვნებანი და ღირსეული ქართველი ოჯახები, არამედ საზოგადოებები, კავშირები, ინსტიტუტები, აკადემიები, რომელნიც პოზიტიური, ეროვნული ენერგეტიკის მატარებელნი იყვნენ. ეს პროცესი (და ვითარება). ეს საგანგაშო „სტატუს-კვო“. დღემდე შენარჩუნებულია: კულტურას, მწერლობის საკუთარ სივრციდან დენიან…

მათ საკუთარ ქვეყანაში ვიღაცის მიერ მოვლენილმა „ჰიქსოსებმა“ გამოაცხადეს პიროვნების და პიროვნული ღირსების, თემის და სოფლის „კითხულ კაცთა“ (თავ-კაცთა) დევნის კამპანია. ბევრ მათგანს „ქურდის“ იარლიყი მიაწებეს და ქურდებთან გაათანაბრეს ამ (ნამდვილმა) ჰიქსოსმა ყაჩაღებმა. სოფელი, თემი, ქალაქი, რომელიც გონიერი ხევისბერი და მახვში კაცების ენერგეტიკაზე იდგა, დაშალეს\. …

ჭკვიანი კაცისთვის ჭკუის კითხვა და ჭკუაკითხული კაცისგან დარიგების მიცემა დანაშაულად გამოაცხადეს! და შექმნეს განურჩეველი, ჭაობის ტიპის საზოგადოება, რამდენიმე „ბაყაყის“ საყვირით…

საზოგადოება უკუღმა შემობრუნებული ფარის სინდრომით, რომელსაც გონიერი ლიდერი არ ჰყავს და სადაც მიდგება უფსკრულის პირას, იქ ჩარჩება, ან ჩაიჩეხება…



ასეთ ფარას წაღმა შემობრუნება არ შეუძლია და თუ შემობრუნდა, წინ მაჩანჩალა და კოჭლი აღმოჩნდება…

მათ, ლიბერასტმა ნაცებმა, არასამთავრობო მედროვეებმა, იცოდნენ და იციან, რომ მათი ფარა და ყოველი მათგანი ჭირიანია, მათ არ ჰყავთ და არც უნდათ ღირსეული წინამძღოლის არსებობა, ამიტომ ასეთი ფარის ყოლა ურჩევნიათ… და კიდევაც დარჩნენ ასე, რამდენიმე ყვავის და პინგვინის ამარა, რომლებიც აცხადებენ, რომ მომავალ არჩევნებში დაამარცხებენ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“…მაგრამ კი არ დასჯიან — შეიწყალებენ მათ: ეს იქნება „ჯალათი შემწყალებლების“ შეწყალებულთა სამოთხე!…

„მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო“, — ამათ, ამ „ნაცების„ ნარჩენებს, ყველგან ივანიშვილი ესიზმრებათ და ელანდებათ,… იმდენად შეარყია და შეაძრწუნა მან ამ ჭილყვავების ბუდე, მაგრამ ბოლომდე ვერ გაფანტა ყველაზე „დიდი ყვავი“, რომელიც ახლაც მკვდარი მაკკეინის ბუდიდან დაგვჩხავის.



●

მცირე ანალიზს თუ გავაკეთებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა: მან ამ ნაცების მახინჯი და შხამიანი პორტრეტები, ბარელიეფები, ბიუსტები ვერ ჩამოხსნა ქართული პოლიტიკური სივრცის ფასადიდან. თუ ამაშუკელის პერიფრაზს გამოვიყენებთ, „ღორის თავივით შერჩა ნაცების დანგრეულ სამრეკლოს წიკლაურის თავი“\. …

და არაოდენ წიკლაურის თავი, როგორც „ამირანიანის“ ეპოსში მათ „ნაქალაქარებს“ არაერთგან შერჩათ ფასადებზე „ბეჰემოთის თავები“, „ვირის თავები“, „მჩხავანა კატების“ და „მელის კუდები“, „მაიმუნის უკანალები“, — ანუ:…

… ანუ ჩვენ ვერ ჩამოვრეცხეთ ფასადებიდან კვესიტაძე-გვარამია-გრიგოლიების, ბაქრაძე-ბოკერიების, ხოშტარია-სამადაშვილების, გაბუნია-სანაიების, კილაძე-ორჯონიკიძეების და მისთანათა პორტრეტები.

მოულოდნელად ნაცების მოჭრილი თავიდან, (ფიგურალურად თუ ვიტყვით) როგორც დევის ბღარტი, ისე ამოხტა გუბაზ სანიკიძე. „ახტა-დახტა“ და პირდაპირ ნაცების ჭაობში (ტალახში) ჩახტა, ანუ ვაშაძე-მელიების და ბაჩუკი ქარდავების კლონად იქცა… არც თუ იშვიათია. მაგრამ მაინც სავალალო შემთხვევაა. მართლაც ფსიქო-ანალიტიკოსთა შესასწავლია ამ ტიპის პოლიტიკურ პერსონათა „მეტამორფოზული“ პორტრეტები…

●

სამწუხაროდ, ახლა კი „მკვდარი სახეები“ ჩამოდიან ფასადებიდან და სახელმწიფო გადატრიალებებსაც კი გეგმავენ. შტურმებით ცდილობენ ძალაუფლების აღებას, მაგრამ მათ არავინ არაფერს ეუბნება… ისინი აცხადებენ პროტესტებს და მართავენ მიტინგებს ყველაფერზე და არაფერზე, ოღონდაც ქვეყანაში იყოს ნიჰილიზმი და ანარქია.

ამათ „კოაბიტაცია“ იცავს. ვერავინ გაიგო, რა არის ეს „კოაბიტაცია“ — ივანიშვილის შეცდომა თუ შორსგამიზნული რთული, პრაგმატული პროცესი: პოლიტიკა ხომ მარტივი არ არის, ჯობს, „ყვავის ბუდე“ თუ „ქვიშის საათი“ თავისით „ჩამოცალოს“ დრომ, ნელ-ნელა გაიწიდოს, ვიდრე ჩამოინგრეს… ოღონდაც ქვეყანამ როგორმე მშვიდობით გააღწიოს ამ ურთულესი ლაბირინთიდან, ანუ ივანიშვილის „არიადნეს ძაფის გორგალმა“ გაგვიყვანოს მინოტავრის ხაფანგიდან…

თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ამ სპექტაკლის დამდგმელი, — უდიდესი რეჟისორი აღმოჩნდება.

●

წერილის დასასრულს არ შემიძლია არ ავღნიშნო, სწორედ ახლა, როცა ივანიშვილის კიდევ ერთი ქველობისთვის ჩვენი „ეკოლოგი ჰუმანოიდები“ და ბუნტომანები მართლაც სამარცხვინო წივილ-კივილს ტეხენ და ადასტურებენ თავის უღირსობას ისევ და ისევ ღირსების წინააღმდეგ… მინდა გავიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ეპიზოდი ქრისტეს ცხოვრებიდან:

ქრისტე ლაზარეს გააცოცხლებს, რომელიც ოთხი დღის მკვდარი იყო. ლაზარეს და იესოს (და მოციქულებს) ვახშამს უმზადებს, ხოლო მარიამი ქრისტეს ნელსაცხებელს სცხებს ფეხებზე და თავისი თმებით უმშრალებს. მაშინ იუდა ისკარიოტელი იტყვის: „რატომ არ გაიყიდა ეს ძვირფასი ნელსაცხეელი 300 დინარად და არ მიეცა ფული გლახაკთ!! — იუდას არ ადარდებს გლახაკთა ბედი, იგი ქრისტეს ღალატისთვის ემზადება, ფული კი მოსაპარად უნდა… იესოს პასუხის რამდენიმე ვერსია არსებობს და ერთი მათგანი ასეთია: „იუდა, შენ ამაზე ნუ დარდობ, ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კიდევ მრავალი, გლახაკი და ღარიბი დარჩება!“ ანუ ღარიბები აქ თქვენთან რჩებიან, მე კი არა!… ეს ღვთიური ირონიაა, იგი ყურადღებას ამახვილებს პირმოთნეობასა და შურზე და არაფერს ამბობს გლახაკებზე… რადგანაც ისინი ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, ქრისტემდე და ქრისტეს შემდგომაც… იუდაც მუდამ იქნება… ეტყობა, ქველობასთან ერთად უმადურობაც მუდმივი თანამგზავრია. ყოველი საზოგადოების და ყველა დროის… ვერც ჩვენ ავირიდებთ ამ მოვლენას.

**კობა არაბული**
მწერალი

# ამერიკელებს რა უნდათ – ვხვდებით, რუსებს რა უნდათ – გასაგებია, მაგრამ საქართველოს რა უნდა, ვინმემ იცის?

**რუსეთმა ხელში მუქთად ჩაიგდო აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი, ყოველდღიურად აძლიერებს თავის გავლენას ამ რეგიონებში. ამერიკის შეერთებული შტატები უკან იხევს. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ვლადიმერ პუტინს ეტმასნება და ლამისაა, ამხელა ქვეყანა გაიყვანოს ნატოდან. ასეთი გრანდიოზული გადანაწილებისას კი ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა – ჩვენ რა ხეირი? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „საერთო გაზეთს“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება.**



**– ბატონო სოსო, მოდით, საუბარი სირია-თურქეთისა და აშშ-რუსეთის ამბებით დავიწყოთ, როგორც კი ერდოღანს პრობლემები ექმნება, ეგრევე პუტინთან გარბის, ახლაც ასე მოხდა, სოჭში გავარდა პუტინთან საქმეების მოსაგვარებლად. რა ხდება, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?**

– როგორც მე ვუყურებ, ეს წელიწადი კვლავ არის პუტინის ვარსკვლავის გაბრწყინების პერიოდი, ასეთი წარმატებები, თანაც მუქთად, მას ჯერ არ ჰქონია. მაგალითად, სოჭში პუტინს ჩაყვანილი ჰყავდა აფრიკის 43 ლიდერი, 43 ქვეყნის მეთაური. საუბარი იყო მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებზე, არავითარი სამხედრო დახმარება, არავითარი იარაღის ჩუქება, როგორც კომუნისტების დროს იყო. ეგვიპტის პრეზიდენტიც ჩავიდა სოჭში, რუსეთი ხელშეკრულებას აფორმებს ყველასთან, სადაც კი წიაღისეულია. პუტინმა ჭკუა ისწავლა, რუსები სოციალიზმის პერიოდში მუქთად აიარაღებდნენ ეგვიპტეს, მოზამბიკს, ანგოლას და მსგავს ქვეყნებს, ეგ დრო მოკვდა.



**– ანუ რა გამოდის, პუტინმა აფრიკა ფუკასავით ააცალა ამერიკელებს?**

– ამერიკელები გადიან... ტრამპის პოლიტიკა სხვანაირია, ის უბრუნდება რუზველტამდელ პერიოდს, ანუ 1920-იანი წლების პოლიტიკას, რასაც ჰქვია იზოლაციონალიზმი პლიუს ნაციონალიზმი. აგერ, სირიაში რუსეთმა და თურქეთმა ერთად დაიწყეს პატრულირება, რუსეთმა ფაქტობრივად მუქთად მიიღო გავლენა ამ რეგიონში, რაც საბჭოთა კავშირს ჰქონდა მილიარდების საფასურად. ახლა პუტინი აკეთებს საქმეს, საიდანაც რუსეთი უფრო მეტად ხეირობს, მან პრაქტიკულად გადაარჩინა სირია, გადაარჩინა მისი რეჟიმი, ეს ქვეყანა არ წავიდა იმ გზით, რა გზითაც ამერიკელებმა წაიყვანეს ერაყი, ლიბია და სხვა ქვეყნები. ვხედავთ, ლიბიაში რაც ხდება, აირია, განადგურდა და ახლა რუსეთზეა ჩამოკიდებული, მაგათი მმართველი გენერალი ყოველი კვირის ბოლოს მოსკოვში ზის და იარაღს ყიდულობს. რაც შეეხება რუსეთის შიდა მდგომარეობას, თუ ჩინელებს დავუჯერებთ, 2024 წელს პრეზიდენტი გახდება ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ. ჩინელები სერიოზული ხალხია, ეგენი ჩვენსავით ჰაერში არაფერს ისვრიან.

**– ესე იგი, ჩინელებმა დაადგინეს, რომ პუტინის მემკვიდრე იქნება შოიგუ, ხომ?**

– დიახ, ასეა... აქ ერთი მომენტიცაა, თუ არ გამოვიდა რუსეთ-ბელორუსიის გაერთიანება ერთიან სახელმწიფოდ, შოიგუ აუცილებლად გახდება მომდევნო პრეზიდენტი. სხვათა შორის, პუტინი თავის დაბადების დღეზე ციმბირში ისვენებდა და მარტო შოიგუ წაიყვანა, მეტი არავინ. ამ ადამიანს ძალიან კარგი რეიტინგი აქვს რუსეთში. გარდა ამისა, არ არის ჩაფლული კორუფციაში. ანგელოზი არც ეგ არი, მაგრამ ნავალნი და მისი მხარდამჭერები შოიგუს არ ებრძვიან.

**– კი, ბატონო, რუსეთის მომავალი გარკვეულია, მაგრამ რას მოუტანს ჩვენს მეგობარ აშშ-ს იზოლაციონალიზმი, ანუ უკან დახევა? გამოდის, ჩვენც უკან უნდა დავიხიოთ.**

– უკან დახევა რა, შეიძლება ასეც არ არის, ამერიკელები ადგებიან თავიანთ ტრადიციულ კურსს.

**– ზედმეტ ტვირთებს იშორებენ?**

– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკა რითაც გახდა ამერიკა, ეს იყო მარშალის გეგმა, მთელი ევროპა ფეხზე დააყენა, მტრები წამოყარა და მოკავშირეებად გაიხადა – გერმანია, იტალია, უნგრეთი... რაც ამერიკელებმა გაუკეთეს იაპონელებს, მე ასეთი პრეცედენტი არ მახსენდება, მაგრამ დღეს ისინი მოკავშირეები არიან. იაპოინელები „გონორზე“ რომ არიან რუსეთთან, რატომ? იმიტომ, რომ ამერიკასთან აქვთ სამხედრო კავშირი დადებული. ტრამპი ამ კავშირებს იცავს და მისი გამოსვლები ნატოსთან მიმართებაში ცოტა სიმბოლურია, თან აკრიტიკებს, თან მის ბიუჯეტს ზრდის, სატანკო არმიები, რომელიც ობამამ გაიყვანა ევროპიდან, დააბრუნა. პოლონეთში ჯარების რაოდენობა გაზარდა, რუმინეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები დანერგა. მთლად ასეც ვერ ვიტყვით, რომ უკან იხევს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთს თმობს. ტრამპი აცხადებს, ჩვენი ბიჭები ქვიშაში არ უნდა იხოცებოდნენო. ასეთი განცხადებები რიგით ამერიკელებს მოსწონთ. პუტინს ამ მხრივ პრობლემა არ გააჩნია. ნათქვამია, წმინდა ადგილი უპატრონოდ არასოდეს რჩებაო, საიდანაც ამერიკელები მიდიან, იქ უცებ პუტინი შედის.



**– ჩვენ რამე გვერგება ამ შესვლა-გასვლიდან?**

– ჩვენ არაფერი... იცი, ჩვენი საქმე როგოა? კახეთში იტყვიან ხოლმე, პროჭის მოჭერით ბავშვი არ ჩნდებაო... მთლად ეგრე ნუ დაწერ, ცოტა კულტურულად დაწერე.

**– წარმოდგენა არ მაქვს, ეს აზრი კულტურულად როგორ უნდა დავწერო, უკანალის მოჭერით ბავშვი არ ჩნდება?**

– ესე იგი... ჩვენებს არც ნამდვილი მოლაპარაკება უნდათ რუსეთთან, არც ანტირუსული პოლიტიკის გატარების ტრაკი აქვთ. ამ დროს რას ამბობს რუსეთი? ამბობს – ჩამოყალიბდით!

**– ჩვენ ნატო, ამერიკა და ევროპა გვეუბნება, მიგიღებთ ოდესმე, მაგრამ ამავე დროს ნორმალური ურთიერთობა დაამყარეთ რუსეთთანო, თუ ნატოში მიღებ, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა რანაირად დავამყარო?**

– თან გვეუბნებიან, თუ რამე, თქვენი გულისთვის არ ვიომებთო. ამერიკელები სულ ეგრე იყვნენ, მახსოვს, შევარდნაძესთან რომ ვიყავი მთავარ სახელმწიფო მრჩევლად, რომელიღაც უნივერსიტეტიდან ჩამოვიდნენ, ყველამ რუსული იცოდა კარგად, პირდაპირ გვეუბნებოდნენ: არა, თქვენ რუსეთთან უნდა მონახოთ საერთო ენა. თან გვეუბნებიან, ნატოში შემოსვლის შანსი გაქვთ. აგერ, ჩვენთან ნატოს სწავლების ცენტრი გაიხსნა და ამაზე რუსეთი ცოფდება. ორ-სამ წელიწადში ამერიკული გემიც შემოდის და დუმაში ამაზეც გიჟდებიან. დაახლოებით ორი კვირის წინ ვარშავაში გაიმართა ძალიან საინტერესო ფორუმი, ბორის ნემცოვს შეუსრულდა 60 წელი და გერმანულმა გაზეთმა მოაწყო შეხვედრა. ჩასული იყო იაპონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა, რომელმაც თქვა: ამ ეტაპზე რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს, სანამ არ შეიცვლება პუტინი, ყველა მოლაპარაკება იქნება უნაყოფო.

**– დავუშვათ, პუტინი შეცვალა შოიგუმ, ამით რამე შეიცვლება?**

– არა მგონია... პუტინი წავა, მაგრამ ის მაინც დარჩება არაფორმალურ მმართველად. 2024 წელს იქნება 70 წლისა, თუმცა ისეთ ჯანზეა, ბოტოქსებს იკეთებს, გადაჭიმული სახე აქვს, სპორტს მისდევს, წელიწადში რვა თვე სოჭში ატარებს. ისე, 4 წელიწადი მაინც დიდი დროა, შეიძლება ვიღაცა გამოჩნდეს და პუტინის გეგმები არიოს. ჩვენთვის კი მთავარი მაინც ის არის, რომ დღეს სტრატეგია არ გაგვაჩნია რუსეთთან დაკავშირებით, ველოდებით, კიდევ სად გააბამენ მავთულხლართებს, რომ გავაპროტესტოთ, მერე ეუთომ ჩაინიშნოს და გადააგზავნოს სადღაც. შედეგი არის ნული. რამდენიმე დღის წინ ძალიან სერიოზული რეზოლუცია მიიღო აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ, სადაც წერია, როგორ უნდა დაეხმარონ საქართველოს, ხელი წააშველონ საერთაშორისო არენაზე, რათა აღიარებული იყოს ტერიტორიული მთლიანობა და ასე შემდეგ. ისიც ფაქტია, რომ წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია დახმარებამ სამხედრო თვალსაზრისით. თუმცა ეს არის მხარდამჭერი და არა სამოკავშირეო რეზოლუცია.

**– ამავე დროს ტრამპი აცხადებს, რომ აშშ აღარ იქნება მსოფლიო პოლიციელის როლში. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს გამო არ დასჯის რუსეთს, თუნდაც სანქციებით. რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?**

— დღეს „ქართული ოცნება“ მყარად ვერ გრძნობს თავს, არ არის ისე, რომ თქვას, მე სულ ფეხებზე მკიდია, რას იტყვის „ნაციონალური მოძრაობა“, სწორად მიმაჩნია ეს კურსი და ვატარებ ამ კურსს, გაზარია უნდა ჩავიდეს მოსკოვში და დაელაპარაკოს პუტინს. ასეთი განცხადებებისა ეშინიათ. საქართველოში დღეს ანტირუსული განწყობა ძლიერია. არადა, ჩვენ რუსებთან ვიღაცის მეშვეობით კონტაქტიც კი არ გვაქვს, რომ პუტინს ვკითხოთ — კი, მაგრამ ეს მავთულხლართები რათ გინდა? რა, ამ ტერიტორიებს ოსები მოუვლიან, დაამუშავებენ და ედემად აქცევენ? რაც აქვთ, იმისთვისაც ვერ მოუვლიათ, სულ რამდენიმე ათასი კაცი ცხოვრობს ცხინვალში. ჩვენ ისიც არ ვიცით, ზალკალიანმა რა უთხრა ლავროვს. ლავროვი გამოვიდა და გაამჟღავნა, ფრენების აღდგენა მთხოვაო. რუსეთისთვის ფრენების აღდგენა უბრალო ამბავია, ამას რუსული კომპანიებიც ითხოვენ, ზარალზე მიდიან. ამასაც კი არ აკეთებს პუტინი, ამასაც გვაყვედრის, ამის გაკეთებაც რაღაცის სანაცვლოდ უნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დღეს რუსეთს საქართველო არ აინტერესებს.





**— ასე გვაჩვენებენ, რომ თითქოს არ აინტერესებს, თორემ სინამდვილეში ძალიან „ვუყვარვართ“.**

— რა თქმა უნდა... მე ვარ დიპლომატიის სპეციალისტი და როგორ შეიძლება, მოლაპარაკებების წინააღმდეგი ვიყო? ნებისმიერ მომენტში მიმაჩნია, რომ გაბუტვას სჯობს, ელაპარაკო. ბოლოს და ბოლოს, გაიგებ მაინც, რა უნდა შენგან პუტინს. ახლა გაზარია რომ ჩავიდეს და დაელაპარაკოს, პუტინი შეჭამს? ბოლო-ბოლო ვერ შეთანხმდებიან და დარჩება ასეთივე ურთიერთობა, მაგრამ იმას მაინც ხომ გავიგებთ, ზუსტად რა უნდა? რას გვეუბნება, ნატოში არ შეხვიდეთო? სანაცვლოდ რას გვთავაზობს? პუტინმა ჩემზე და შენზე კარგად იცის, რომ დღეს ნატოში არავინ არ მიგვიღებს. რუსეთისთვის მთავარი არ არის ის, რომ საქართველო ნატოში არ შევიდეს, პუტინს, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი პერიოდის საკითხი გადაჭრილი აქვს. ოსებს მავთული და ბოძიც არ აქვთ იმდენი, რომ აქ ე.წ. საზღვარი გაგვივლონ, ეგ ყველაფერი მოდის რუსეთიდან, რუსები აკეთებენ. მოდით, გავიგოთ, რის თქმა უნდათ მავთულხლართებით. იქნებ ქართული სახელმწიფოს განადგურება უნდათ? მე არა მგონია, ეს კადიროვი დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, ამ დროს „ისლამური სახელმწიფო“ ნელ-ნელა შოკიდან გამოდის, სირიის მოვლენებთან დაკავშირებით ქურთებმა ვეღარ მიხედეს ციხეებსა და ბანაკებს, რამდენიმე ასეული ტერორისტი გაქცეულია, უკვე დაიწყეს მოძრაობები. ამასთანავე, კავკასია ფეთქებადი რეგიონია, ჩრდილოეთ კავკასიის შვიდივე რესპუბლიკა დოტაციურია, თავის თავს ვერავინ ვერ ინახავს. თან კორუფციაა საშინელი, ამას რუსეთში ხედავენ, მაგრამ თვალს ხუჭავენ. დღე არ გავა, დაღესტანში ტერორისტული აქტი არ მოხდეს და ამ დროს საქართველო რომ მოიშალოს, რუსეთსაც ცუდად წაუვა საქმე. კი, დღეს პუტინს აწყობს და ერდოღანთან მეგობრობს, მაგრამ რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული კავშირი გამორიცხულია, მაგათი ინტერესები ისტორიულად არის შეუთანხმებელი. ამათი დღევანდელი ურთიერთობა არის მხოლოდ ტაქტიკა და არა მოკავშირეობა. როგორ შეიძლება, რუსეთი და თურქეთი გახდნენ მოკავშირეები, როცა მთელი 300 წელიწადი ომობდნენ? ამიტომ საქართველოს მორღვევა დღეს რუსეთს არ აწყობს. მით უმეტეს, როცა აზერბაიჯანშიც ისლამური გავლენა ძლიერდება, სომხეთი გამოკეტილია, თან ფაშინიანს ეჭვის თვალით უყურებენ კრემლში, ვერ გაუგიათ, რა უნდა ფაშინიანს. რუსეთი არასოდეს არ დაუშვებს, რომ შავ ზღვაზე გაბატონდეს თურქეთი, გამორიცხულია. ვიმეორებ, ამ სიტუაციაში ჩვენ გვაქვს გაურკვეველი ვითარება, ეს ჩვენი ტელევიზიებიც გადასულები არიან იაფფასიან ცირკზე. მე აღარ ვუყურებ, ჩავრთავ ხოლმე 4–5 წუთით და მორჩა, მბეზრდება. ეკრანიდან მოდის უმწიგნობრობა, გაუნათლებლობა, ჯერ ჩვენ ვერ გავრკვეულვართ იმაში, რა გვინდა. ჩვენ გვინდა ნატო, ჩვენ გვინდა ევროკავშირი, ჩვენ გვინდა, ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობენ ფრანგები და იტალიელები, მაგრამ არ ვიმუშაოთ, ან ვიმუშაოთ ისე, როგორც ყოველთვის ვმუშაობდით, გვყავდეს ისეთი კადრები, როგორიც გვყავდა და გვყავს. ასე აღარ გამოდის, დამთავრდა.

**— ამას წინებზე ვუსმენდი, დავით ბერძენიშვილმა დადო ბიძინა ივანიშვილის „კომპრომატი“ — ისაო, ბიძინა ადრე გვეუბნებოდა, მოდით, რუსებს შევთავაზოთ, იქნებ აფხაზეთი და სამაჩაბლო ნატოში გაგვიცვალონო? ესე იგი, ნატოზე უარი ვთქვათ და შეიძლება ტერიტორიები დაგვიბრუნონო. ეტყობა, ამ დუპლეტმა ბერძენიშვილმა არ იცის, რომ ამაზე ნებისმიერი ქართველი ფიქრობს. მე პირადად ორივე ხელით დავუჭერ მხარს, თუკი რუსეთი ტერიტორიებს ნატოში შესვლის სურვილში გაგვიცვლის. თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთი ვერსია რეალურია?**



— ამას ყველა დაუჭერს მხარს... ჩავატაროთ რეფერენდუმი, შევეკითხოთ მოსახლეობას, ნატო უნდა თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო?

**— რუსეთი წავა ამაზე?**

— არა, ახლა უკვე აღარ. მორჩა, ეგ მატარებელი წავიდა. შეიძლება რუსეთი რაღაც დათმობაზე წავიდეს, მაგრამ არა ისე, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მთლიანად საქართველოს შემადგენლობაში იყოს, რაღაც კონფედერაციაზე ლაპარაკი კიდევ შეიძლება, სადაც რუსეთი გამოვა გარანტად და ევროკავშირიც გააკონტროლებს. აი, როგორც უკრაინაში ლაპარაკობენ დონბასზე. ამ ყველაფერზე უნდა ვიფიქროთ ჩვენ თვითონ, მაგრამ ვინც ამ ქვეყანაში აზროვნებს, ამას ვერ იტყვის, ირგვლივ შიშია გამეფებული. ხომ ხედავ, ივანიშვილს უთქვამს, დაკარგული ტერიტორიები ნატოში გავცვალოთო და ეს უკვე კომპრომატად ითვლება... აი, ხედავთ, რას ამბობდაო? აბა, დაუფიქრდი, ეს რაზე მიანიშნებს?

**— იმაზე მიანიშნებს, რომ ვიღაცის ტყვეობაში ვართ.**

— ჩვენში არის ანალიტიკური აზროვნების დეფიციტი. ბერძენიშვილმა იცის, რომ საქართველოში არის ხალხი, რომელიც ამას კომპრომატად თვლის. ეგენი ამ პუბლიკაზე თამაშობენ, დღეს ჩვეთან არის სამოქალაქო აქტივიზმი, მაგალითად, ბავშვები რომ დარბიან პარლამენტის წინ, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა.

**— თუ ვინმემ ფული არ გადაიხადა, არც პარლამენტის წინ ირბენს ვინმე.**

— რა თქმა უნდა... აგერ, ქუთაისში ჩაატარეს მიტინგი, 15–20 კაცი ძლივს გამოიყვანეს. იგივე მოხდა კახეთში.

**— კარგი, მაგათი „ბაგაჟი“ გასაგებია, მაგრამ საქართველოს ახალი „მესია“ რომ მოევლინა ბანკირ მამუკა ხაზარაძის სახით, მის მომავალზე რას იტყვით? თვითონ იძახის, მთელი ქვეყანა ჩემს გარშემო ერთიანდება, უმრავლესობით მოვდივარ, ივანიშვილი უნდა დავასრულოო.**

— ხაზარაძემ ის კურსი აირჩია, რა კურსიც აირჩია ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებამდე 7–8 თვით ადრე. თუ გახსოვს, ის სულ იძახდა, ასი პროცენტით ვიმარჯვებთო.

**— კი, მაგრამ ივანიშვილს ჰქონდა კიდეც საფუძველი და რესურსი, ამას რა გააჩნია?**

— ჰოდა, მე ვამბობ, რომ ხაზარაძე ივანიშვილს ბაძავს, ბიძინას ჰქონდა კოლოსალური რესურსი. ხაზარაძისთვის საუკეთესო შედეგი იქნება, თუ თვითონ პარლამენტში მოხვდება. თუმცა მანამდე კიდევ ერთი წელიწადია, შეიძლება მევრი რამე შეიცვალოს. „ქართული ოცნების“ საბედნიეროდ, ჩვენთან ოპოზიციური საპროტესტო ტალღა არ არსებობს, ეკონომიკური უკმაყოფილება და პოლიტიკა ვერ გაერთიანდა, ცალ-ცალკე დარჩა. რამდენიმე დღის წინ ეროვნულმა ბანკმა კიდევ 1%-ით გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი და ვისაც სესხი აქვს გამოტანილი, გაეზარდა გადასახადი. ამით თითქოს ინფლაციის მოთოკვა უნდათ, მაგრამ რომ ვერ თოკავენ, რა ვქნათ? ამ დროს ძალა არ ჩანს, ამაზე ხმა აიმაღლოს და უკმაყოფილება პოლიტიკად აქციოს. ვისაც ჭკუა მოეკითხება, თითქმის ყველა ჩაიკეტა თავის თავში და სულელები კიდევ აქტიურობენ.

**— სხვათა შორის, მე ვურჩევ „ოცნებას“, საერთოდ გაჩუმდეს 2020 წლამდე და ისედაც დაღუპული ოპოზიცია თვითონვე დაიღუპავს თავს.**

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, ახლა „ნაციონალები“ და ბოკერია რომ დაერივნენ ერთმანეთს თავის გადასარჩენად, უკვე დაგვიანებულად მეჩვენება. ეგენი ისეთ შეურაცხყოფებზე გადავიდნენ, ორივე ფრთა ჩაიძირება.

**— არ გეჩვენებათ, რომ ისევ თამაშობენ? გაიხსენეთ, როგორ უცებ გაერთიანდნენ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში.**

— არა, არა მგონია... საპრეზიდენტო არჩევნები სხვა იყო, იქ ერთი კაცი უნდა გაეყვანათ, ახლა ყველა თავის თავზე ფიქრობს. პროპორციული არჩევნების გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს, ნულოვანმა ბარიერმა ყველას საკუთარი ინტერესი გაუჩინა. ამ არჩევნებში გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი ინტელექტუალური რესურსი ექნება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილი მოიწვევს უცხოელ სპეციალისტებს, ის თავისი სახელგატეხილი პარლამენტარების იმედზე არ დარჩება, მოიწვევს სპეციალისტებს და დაუდებენ სტრატეგიას. რაც შეეხება ოპოზიციას, ჯერჯერობით მისი რეიტინგი მცირდება, მაგრამ ამ ეტაპზეც არ გამქრალა სააკაშვილის ფაქტორი.

**— მიშას თავისი მრევლი ყოველთვის ეყოლება, მაგრამ ახლა მთავარია, რამდენად „გულწრფელია“ ბოკერიასთან დატაკება.**

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ამათი დატაკება ნამდვილია. ბოკერიას, ასე თუ ისე, კარგად ვიცნობ, ის არის არაპრაქტიკული ფანატიკოსი, რომლისთვისაც თანამდებობას მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც ბასილ მკალავიშვილის მრევლს დასდევდა და პერანგებს ახევდნენ, მაშინაც გულწრფელი იყო. არიან ეგეთი ადამიანები.

**— დადის ჭორები, რომ „ოცნებაში“ ბოკერიას მოიაზრებენ მთავარ ოპოზიციურ ძალად და ასე უნდათ „ნაცმოძრაობის“ განეიტრალება.**

— კი, ეგ უფრო რეალური მგონია... საერთოდ, მიშა მეორე კაცობას ვერსად ვერ აიტანს, მას ყოველთვის უნდა პირველკაცობა. ის ვერ იტანს რჩევასაც კი, გამორიცხულია, ბოკერიას ჭკუაზე გაიაროს. სწორედ ამიტომ არის მათ შორის დაპირისპირება. ბოკერიებისთვის და ბაქრაძეებისთვის მიშა უკვე დავიწყებულია, ჩავლილი მატარებელია. პრინციპში, ზოგადად თუ შევხედავთ, წინასაარჩევნოდ გამოკვეთილია ჩონჩხი, ზოგიერთ რამეს უნდა ხორცშესხმა. თუ ივანიშვილის გარშემო ისევ დღევანდელი კოჰორტა შეგროვდა, ხმების მოგროვება გაუჭირდება. მან მეორადი გამოყენების პოლიტიკოსები უნდა ჩამოიცილოს. თუ პარლამენტში ისევ ესენი დატოვა, მაშინ აზრი აღარაფერს ჰქონია, გაიქცევა საქართველოდან ხალხი და ეგ იქნება.

**— მთლად უიმედოდაც ნუ დავასრულებთ ჩვენს საუბარს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ უკეთესობა იყოს.**

— პროფესიონალიზმი, ეს არის მთავარი ფაქტორი უკეთესობისა. სელექცია ჩვენში მიდის არა პროფესიონალიზმის, არამედ ერთგულების კუთხით. თუ ეს საკითხი გამოსწორდება, ქვეყანასაც ეშველება.



გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ეს ბანდიტი, ეპისკოპოსი კი არ უნდა იყოს, ციხეში უნდა იჯდეს!



გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ ხელმძღვანელი ბესო მიქავა

**— ბატონო ბესო, პირდაპირ გკითხავთ: როგორ შეაფასებთ მეუფე იაკობის სკანდალურ განცხადებას პატრიარქის მკვლელობის შეთქმულებასთან დაკავშირებით?**

— თავად მეუფე იაკობის განცხადებებზე დაყრდნობით, არაერთხელ მითქვამს, რომ მეუფე





გიორგი გახარიას წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული გიორგი კვირიკაშვილთან ერთად.

ახლა ეს ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა — დაიწყო ცრუ ბრალდებების წამოყენება ივანიშვილისა და გახარიას წინააღმდეგ.

მაგრამ ერთ შეკითხვას დაგისვამთ — რაში სჭირდება ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი გახარიას პატრიარქის ჩამოცილება?

გიორგი გახარიაც და „ქართული ოცნების“ მთავრობაც არაერთხელ დალოცა პატრიარქმა, აჩუქა ხატებიც.

**— პატრიარქის თანამოსაყდრის მეუფე შიოს გაპატრიარქების დაჩქარება უნდოდათო.**

— დააკვირდით: სანამ ამინდი გაუარესდება, ჭექა-ქუხილი იწყება, ან ქარი ამოვარდება. ასეა პოლიტიკური ამინდის ცვლებადობაც,

ხვალ 28 ოქტომბერია, ანუ ის დღე, როცა პირველად ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში მრავალპარტიული არჩევნები და საქართველო პირველი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.



ყოველივე ამის სულისჩამდგმელის, შემდგომ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე დღემდე არ არის გამოძიებული. როცა ადრე მეუფე იაკობს ვამხელდი დოკუმენტური კომპრომენტაციით, არ ვაკონკრეტებდი, გიორგი გახარიას სიტყვებით თუ ვიტყვი, ვინ „აცეკვებდა“ მეუფე იაკობს.

სანამ ამას გეტყოდეთ, კიდევ შეგახსენებთ, მეუფე იაკობი არის 1992 წლის 2 თებერვლის ანტიგმირი, კაცი, რომელმაც მშვიდობიანი მომიტინგეები თბილისის ქუჩებში უმოწყალოდ ჩახოცა, ეს კაცი ეპისკოპოსი კი არ უნდა იყოს, არამედ ციხეში უნდა იჯდეს.

ამ ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები ტომებად დევს პროკურატურაში. პირადად მე მაქვს ვიდეომასალები ამ ფაქტებთან დაკავშირებით და წარმოიდგინეთ, პროკურატურას რა ტევადი მასალები ექნება.

მე შემთხვევით არ მიხსენებია ზვიად გამსახურდია, მისი მკვლელობა არ გახსნილა, მერე გიორგი ჭანტურია მოკლეს, გაიხსნა ეს საქმე? — არა! ჟვანია მოკლეს, გაიხსნა საქმე? — არა! რამდენი ჩამოვთვალო? ვისი პრეროგატივაა საქმეების გამოძიება-გახსნა? — პროკურატურის. პროკურატურა ამ ქვეყანაში უცვლელია უკვე ათეულობით წლებია. პროკურატურის ხარბმა მუცელმა მოინელა — გამსახურდია, მოინელა შევარდნაძე, მოინელა — სააკაშვილი, ახლა ივანიშვილის მონელებას აპირებს. პროკურატურა „აყეფებს“ იაკობს და სხვა პოლიტიკურ მუტანტებს.

**— რას ფიქრობთ, რა საშუალებებით აკეთებს ამას პროკურატურა?**

— მაგალითად, პროკურატურა იბარებს პირს და ეუბნება: მე მაქვს შენი ინტიმური ცხოვრების მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებსაც გამოვაქვეყნებინებ ვინმე ჩემთვის სანდო პირს. ყველამ ვნახეთ, როგორ გამოუქვეყნეს ეკა ბესელიას და ადრე სხვებსაც, სხვადასხვა ინტერესის საფუძველზე. კომპრომატებს გავავრცელებთ ინტერნეტის საშუალებით და დამთავრდება შენი ჭიკჭიკიო.

მოგეხსენებათ, ინფორმაციული ომი მძვინვარებს. ინფორმაცია მომაკვდინებელი იარაღი გახდა, ხოლო ეს „იარაღი“ დღეს პროკურატურის მრავალჭირნანახ ხელშია მოქცეული.

**— თქვენ მითხარით, მე თვითონაც მაქვს მტკიცებულებები მეუფე იაკობზეო. რა სახის და რა მტკიცებულებები გაქვთ?**

— მე მაქვს 1992 წლის 2 თებერვლის დარბევის კადრები.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ მეუფეს თავის დაძვრენა უნდა მართლმსაჯულებიდან?**

— მის ადგილას, მისნაირი ადამიანი, სხვაგვარად არც მოიქცეოდა. მეუფე იაკობს და მის ძმას აქვთ ბიზნესები, არიან კორუმპირებულები. მისი ძმაც იარაღასხმული დარბოდა თბილისში 90-იან წლებში:



აქვე მინდა დავძინო, ვინც ქართველ ერს ცუდად მოიხსენიებს, ყველამ პირში წყალი გამოივლოს. ქართველმა ხალხმა გმირობა და სიბრძნე გამოავლინა 1990 წლის 28 ოქტომბერს, არჩევნების დღეს და მე, ერთმა კაცმა, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ქართველებს ამისთვის.

ახლა რომ ამბობენ, უმადურია ქართველი ერი რადგან, ვთქვათ, ლევან ვასაძის დაძახილზე გარეთ არ გამოვიდაო, ნურას უკაცრავად, ქართველი ერი, გადამწყვეტ მომენტებში, სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. სწორი გადაწყვეტილება იყო 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვება, მაგრამ შემდეგ ეს გამარჯვება, გარკვეული ძალების მიერ, უგულებელყოფილი იქნა და ხალხი გამოვიდა ქუჩაში თბილისში. ხაზს ვუსვამ, ამას, რადგან ზოგიერთებს სურთ, დაამტკიცონ, რომ თითქოს სამეგრელო აქტიურობდა მაშინ ამ კუთხით. ამჯერად გახარიას კონტექსტში უნდათ ამის დამტკიცება, მაგრამ, არა, ბატონებო, ყველაზე დიდი საპროტესტო მუხტი იყო თბილისში, ჩემი თვალით მაქვს ყველაფერი ნანახი. 200 ათასი, 300 და 400 ათასი მომიტინგეც კი იყო სწორედ მაშინ ქუჩაში გამოსული. ვიდეოც მაქვს სახლში ამის დამადასტურებლად და ეს ხალხი ჩხოროწყუდან, ან წალენჯიხიდან კი არ ჩამოსულა — თბილისის მოსახლეობა იყო. 2 თებერვალსაც დაინიშნა ჩვეულებრივი მიტინგი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი აღარ გამოდგა. იმდენი ხალხი გამოვიდა, რომ ქუჩებში ტევა არ იყო. ულევად მოდიოდა ხალხი. ამ დროს თბილისის კომენდანტი არის გელა ლანჩავა, ხოლო მისი მოადგილე გახლავთ დღევანდელი ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი. მეუფე იაკობი პირდად მე იარაღით ხელში არ მინახავს, მაგრამ გელა ლანჩავა იყო 2 თებერვლის ტრაგედიაზე პასუხისმგებელი და მისი მოადგილე, რა თქმა უნდა, უცოდველი კრავი ვერ იქნებოდა. ახლახან გიორგი კალანდიამ გადაცემა გააკეთა ამაზე და ყველაფერი „მხედრიონს“ დააბრალა, მაგრამ იურიდიულად, იმ უბედურებებზე პასუხისმგებელი იყო თბილისის კომენდატურა.

დღეს გამოდის იაკობი, ეს ყაჩაღი მეუფე და ამბობს: გახარიამ, ივანიშვილმა, კვირიკაშვილმა, ჩხარტიშვილმა პატრიარქის ჩამოცილება მოინდომესო. სად არის ამ დროს პროკურატურა? რატომ არ აღძრავს საქმეს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ასეა, დანაშაულის შეუტყობინებლობისა და დაფარვის გამო მეუფე იაკობს რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში?

რა არის ეს, მკვდარი სულების, ზომბების გაცოცხლების პროცესი თუ სხვა რამ, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტი ერთია — მათ სურთ კვლავ იმ პოლიტიკურ ავანსცენაზე დარჩნენ, საიდანაც ფულსა და გავლენებს დღემდე ინარჩუნებენ.

**— ვინ იდგა იაკობის უკან მაშინ?**

— მეუფე იყო ჩვეულებრივი ქილერი, მკვლელი — ეს ჩვეულებრივი ამბავია — შემკვეთი ყოველთვის ჩრდილში რჩება...

გიორგი გახარიამ მოაგვარა გარეჯის საკითხი. საპატრიარქომ ეს ამბავი, რატომღაც, არც



კი გაახმაურა და მოსახლეობაში კვლავ არსებობს მოსაზრება, რომ გარეჯს ვკარგავთ, ან უარეს შემთხვევაში, უკვე დავკარგეთ.

**— მაგრამ მხოლოდ სამღვდელოებისთვის არის გახსნილი და მხოლოდ ბერთუბანი. ესაა საკითხის მოგვარება?**

— ჯერ ერთი, მანამდე იქ არავის არ უშვებდნენ, ახლა მოძღვრებს ეძლევათ შესვლის უფლება. უცებ, ერთი ხელის დაკვრით არ ხდება ასეთი საკითხების მოგვარება, მაგრამ გიორგი გახარიამ ბაქოში ერთი ჩასვლით მოაგვარა ყველაფერი. ყველაფერი უნდა მოხდეს ეტაპობრივად, მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ აზერბაიჯანი ვერასდროს მიითვისებს დავით



გარეჯს, სანამ საქართველოში იქნება ის ხელისუფლება, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც იქნება პატრიოტი. დავით გარეჯის თემა სპეციალურად იყო აგორებული, რომ ქვეყანაში არეულობა მომხდარიყო.

**— ვინ არის ის, ვისაც აწყობდა არეულობა?**

— პროკურატურა, პირველ რიგში. მას სურს ყველა მეთოდით შეინარჩუნოს ძალაუფლება ყველაზე და ყველაფერზე. სასამართლოში ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება, მაგრამ თუ პროკურატურაც არ გაიწმინდა და არ მოვიდა ახალი კადრები, მაშინ რჩება ერთადერთი გზა, როგორც სააკაშვილმაც თქვა ერთხელ: უცხოეთიდან გახდება პროკურორების ჩამოყვანა აუცილებელი.

**— თქვენ ამბობთ, რომ ძალაუფლება ახლა ხელთ უპყრია არა მთავრობას, არამედ პროკურატურას?**

— დიახ — პროკურატურას და ეკლესიას. სანამ ეს ორი ინსტიტუცია არ გაიწმინდება, ქვეყანა ვერ დალაგდება, კორუმპირებული, გახრწნილი პროკურატურა მართავს დღეს ქვეყანას და თავის ჭკუაზე ათამაშებს ვაი-პოლიტიკოსებს. თქვენ რა გგონიათ, მოსამართლეების საკითხი ვინ წამოწია? — პროკურატურამ, რადგან ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებაც არ უნდათ. თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ სასამართლოს ვინც ებრძვის, ყველანი პროკურატურის „ნასედკები“ არიან. იმის მიუხედავად, რომ სასამართლო სისტემაშიც მრავლად არიან კორუმპირებული მოსამართლეები, მე მაინც მინდა მადლობა გადავუხადო ქართულ სასამართლო სისტემას, რომელმაც უამრავ წნეხს გაუძლო წლების განმავლობაში და უნდა ითქვას, ბევრად უფრო კომპეტენტურია, ვიდრე ადვოკატები. ადვოკატების უმრავლესობა შეკრულია პროკურატურასთან. ამიტომაც დაუჭირეს მხარი თავის დროზე თადუმაძის დანიშვნას. რა ესაქმება ადვოკატს გენერალურ პროკურორად? რა ხდება, პროკურატურა და ადვოკატურა შეერწყა? ამიხსნას ვინმემ, როგორ შეიძლება ადვოკატი გახდეს პროკურორი?...

ამიტომ არ იხსნება საქმეები და ვერც გაიხსნება ვერასდროს, რადგან პროკურატურაა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი ინსტიტუცია.

საქართველოში მომხდარი ყველა უბედურების დოკუმენტური მამხილებელი მასალები დევს პროკურატურაში და იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებები იცვლება, ამ საქმეებს ნათელი არ ეფინება.

**— მათ შორის გულისხმობთ მეუფე იაკობის საქმეს? არ დაგვავიწყდეს ე.წ. „ციანიდის საქმეც“.**

— დავიწყოთ იქიდან, რომ თითქოსდა მეუფე იაკობმა პატრიარქის ჩამოგდების მსურველებად ივანიშვილ-გახარია-კვირიკაშვილი დაასახელა, მეუფე პეტრე ცაავამ თქვა — მთვრალი იყოო, ვიღაცამ თქვა, მეუფეს აღთქმა აქვს დადებული და არ სვამსო, გამოდის, რომ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მეუფე იაკობი ამბობს, რომ კვირიკაშვილის კაბინეტში დაიგეგმა პატრიარქის ჩამოგდება და მოკვლაო. ამ საუბარს ესწრებოდა კიდევ გახარია, ჩხარტიშვილი და მეო.

თუ სამართალი არსებობს, საერთოდ, ამ ქვეყანაში, მეუფე იაკობი სიცრუისთვის უნდა განიდევნოს ეკლესიიდან, ან თუ ყველაფერი სიმართლეა, ის ციხეში უნდა აღმოჩნდეს. ყველაფერი კი იმას უკავშირდება, რომ, თითქოსდა, კვირიკაშვილმა დაგეგმა „ციანიდის საქმე“ და ეს იცოდა მეუფე იაკობმა. ხლართია, ხომ? არ ვიცი, რატომ ხლართავს ამ ყველაფერს მეუფე იაკობი, მაგრამ, ფაქტობრივად, არა მხოლოდ თვითონ, არამედ, სახელმწიფოს უმაღლეს პირებსაც ითრევს ამ ხლართში. კიდევ ვიმეორებ, მეუფე იაკობი არის ის კაცი, რომელმაც თქვა: გახარია თუ გახდება პრემიერ-მინისტრი, მე მას იარაღით დავამხობო.

გიორგი გახარია გახდა პრემიერ-მინისტრი და მან დაიწყო გარკვეული საკითხების დალაგება. ხალხმა იგრძნო, რომ პატრონი ნელ-ნელა ჩნდება — გარეჯში ჯერ მღვდლები შედიან, მერე ნელ-ნელა დაიწყება სხვა პროცესებიც. მანამდე გიორგი გახარია აღუდგა წინ ლგბტ-ს პირების მსვლელობის ჩატარებას. სხვათა შორის, ვითომ პატრიოტული სულისკვეთებით ცნობილი ფალავანდიშვილები და ვასაძეები იმ მოვლენების დროს კიდევაც დაუპირისპირდნენ გახარიას და თავიანთი ქმედებებით ბოკერიას დაუდგნენ გვერდით.

**— რატომ?**

— იმიტომ რომ, ლგბტ თემის საკითხი პოლიტიკური არეულობისთვის იყო გამიზნული.

თქვენ გახსოვთ მიმდინარე მოვლენები და აქციები მთავრობის სახლის წინ ლგბტ პარადის წინააღმდეგ. მაშინ მეც გახლდათ იმ მიტინგის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ჩემ მეგობრებთან ერთად მივედით მაშინ აქციაზე. გეხსომებათ ისიც, თქვენ რომ დამირეკეთ და მე გითხარით: მარტო დაგვტოვეს 20-კაციანი ჯგუფი ლგბტ-ებისა და პოლიციელების გარემოცვაში-მეთქი. ლგბტ-პირთა მიერ პარადის ჩატარების მოწინააღმდეგეებმა, იქ მდგარმა მიტინგის ორგანიზატორებმა განაცხადეს — ჩვენ გახარიას გადადგომა უნდა მოვითხოვოთ შს მინისტრობიდანო. მაშინ ბოკერიაც ამას ითხოვდა. ანუ, გამოვიდა ისე, რომ ეს ჩვენი ვითომ პატრიოტი და ტრადიციების დამცველი მომიტინგე თანამემამულეები, სინამდვილეში მთავრობის სახლის წინ ლგბტ თემის პარადისა და პროპაგანდის წინააღმდეგ კი არ იყვნენ გამოსული მთავრობის სახლის წინ, არამედ გიორგი გახარიას ჩამოსაგდებად...

**— დავუბრუნდეთ მეუფე იაკობის სააშკარაოზე ბოლოდროინდელ გამოსვლას. ის პატრიარქის ლიკვიდაციის გეგმებში ვინმე ვახოსაც ახსენებს და მერე აკონკრეტებს, რომ ეს დღევანდელი შს მინისტრი ვახტანგ გომელაურია. — გომელაური ყველაზე მეტად პასიურობდა ამ საქმეშიო.**

— ეს მართლა ვირეშმაკა იაკობი ვახტანგ გომელაურს კი არ აფარებს ხელს, პირიქით, მის წინააღმდეგ გამოდის. ის აქაც ცდილობს ვითომდა დააპირისპიროს გომელაური და ივანიშვილ-გახარია.

საბოლოო მიზანი არის სიტუაციის არევა ქვეყანაში, რადგან ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა სტაბილურობისკენ მიდის ყველაფერი. გახარიას ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება, მაგრამ ხმამაღლა ვიტყვი: ყველაფერი პირდაპირ უკავშირდება ბოკერიას და „ნაცმოძრაობას“. იაკობი მიხვდა, რომ მას ძალიან ცუდად აქვს საქმე ამ ხელისუფლებასთან, ცუდად აქვს საქმე მეუფე პეტრესაც, რომელიც გადაეფარა მეუფე იაკობს და ნასვამი იყო, თორემ არ იტყოდა მაგასო, თქვა. ესენი არიან სისტემის ჭანჭიკები, რომლის თავი პროკურატურაში დევს. გახარიამ დაიწყო ამ სისტემის ნგრევა და ამოქმედდა მანქანა — სისხლიანი დანაშაულებების დამფარველი ეს ბებერი პროკურატურა ყველა ღონეს იყენებს, თავის მოკავშირე სამღვდელოებასთან ერთად და ცდილობს, კვლავ დაამარცხოს და მოინელოს ეს ხელისუფლებაც და მათ შორის, პირველ რიგში, მისი ხელისშემშლელი გიორგი გახარია.

რომ გამოხტა ტელევიზიით მეუფე იაკობი; ის სინოდის წევრი არაა? ჯერ სინოდში უნდა განეცხადებია ეს, მერე პროკურატურაში და მერე უნდა გამოსულიყო ტელევიზიით და დაედო ხელი კონკრეტული დამნაშავეებისათვის. რა უფლებით გამოდის და ხალხს ასმენს და ადანაშაულებს. ეს ქვეყანაა თუ ნინიას ბაღი?! ან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ: უმაღლესმა სამღვდელო პირმა უმაღლესი თანამდებობის პირებს პატრიარქის მკვლელობის დაგეგმვაში დასდო ბრალი. რატომ არ იღებს ხმას არავინ, არ შეაქვთ სარჩელი ცილისწამებაზე და ცრუ ჩვენების გახმოვანებაზე.

სხვათა შორის, აქვე მინდა მადლობა მოვუხადო თქვენ გაზეთს, რომ სისტემატურად მაძლევს საშუალებას, მოსახლეობას ვაუწყო სიმართლე. „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ჩემი ინტერვიუების მერე ბევრი




მირეკავს, ქუჩაში შემხვედრებიც მადლობას მეუბნებიან, რომ სწორი პასუხები გავეცი საზოგადოების კითხვებს, არ მოვატყუე ისე, როგორც ბევრი იტყუება. სამწუხაროდ, ჩვენი მედიის დიდი უმრავლესობა მტრის საქმეშია ჩამდგარი და ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებენ, ყველა დეზინფორმაციას აგორებენ და ხმაურს ტეხენ. ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში არეულობების გამოწვევას უკავშირდება. როგორც დავინახეთ, ბოკერიას აქციების საშუალებით ხალხის გამოყვანა და ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობა არ გამოუვიდათ, ახლა ეკლესია უნდათ, რომ ააბუნტონ. ახალი ჯოკერი გამოიყვანეს ასპარეზზე და ყველა ვნახავთ, კიდევ რა ბინძური ფიგურებიც გამოჩნდებიან ავანსცენაზე — კვირიკაშვილი კი კაი ბიჭი ჩნდება „ციანიდის საქმის“ მიხედვით, სადაც ვითომდა შორენა წამლავდა პატრიარქს, მერე ვითომ თვითონ შორენას წამლავდნენ და არა პატრიარქს. ასინეთას და არქიფო სეთურის სქემას ჰგავს ყველაფერი...

**— ბატონო ბესო, რას ერჩიან პატრიარქს, სულ მის მოწამვლა — მოშორებაზე რომ არის ლაპარაკი?**

— პატრიარქის მოწამვლით ან მოკვლით არაფერი არ იცვლება. ის არავის არაფერში ხელს არ უშლის, ამიტომ ეს არის თითიდან გამოწოვილი ამბავი, რის გამოც, წესით, მეუფე იაკობი ციხეში უნდა იჯდეს. გომელაური უნდა გამოდიოდეს და თავზე ამხობდეს ყველაფერს ერთსაც და მეორესაც. პროკურატურა საქმეებს უნდა ხსნიდეს ამ ეჭვმიტანილ ადამიანებზე და ჩვენს ინტერვიუებზე ან დაკითხვებზე გვიბარებდნენ მე და თქვენ, ან იმ ადამიანებს უნდა კითხავდნენ, ვისზეც გვაქვს ინტერვიუებში საუბარი, რადგან კანონმდებლობით, საჯაროდ გაცხადებულ კრიმინალურ ქმედებაზე პროკურატურა ვალდებულია რეაგირება მოახდინოს.

მე ვაპირებ უკვე საჯაროდ დავასახელო და ვამხილო კონკრეტულ დანაშაულებებში პროკურატურის კონკრეტული წარმომადგენლები: პროკურორები. სახელების და გვარების დასახელებით გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძიდან დაწყებული გლდანის ამჟამინდელი პროკურორის დავით ჩხარტიშვილის ჩათვლით. ვიტყვი ყველაფერს და ჩამოვთვლი მათ ნამოქმედარს — ჯიბგირები, ქურდები და ყაჩაღები არიან პროკურორებად დღეს და ყველას გამოვააშკარავებ უახლოეს ხანებში თქვენი გაზეთის საშუალებით. ვპირდები ამას ჩემს თანამემამულეებს.

27.10.2019

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჩვენი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ძველი, დაკარგული მოსკოვის ნაცვლად „ახალ მოსკოვს“ ვეძებთ

## საქართველო გადარჩენის ეკონომიკიდან განვითარების ეკონომიკაზე უნდა გადავიდეს



***გვესაუბრება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელი გია ჟორჟოლიანი:***

**— ბატონო გია, ახლახან, აბრეშუმის გზის ფორუმი ჩატარდა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ქვეყნისთვის?**

— საქართველოში აბრეშუმის გზის ფორუმის ჩატარება, უკვე, რეგულარულ ხასიათს იღებს. ხშირად, ჩვენ, ზედაპირულად წარმოვიდგენთ, რომ ეს გზა საქართველოზე გადის. კი, ისტორიულად ასე იყო, მაგრამ დღეს, რუკას თუ დავხედავთ, თვალსაჩინო გახდება, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ადგილი, სადაც ეს გზა გადის. ამ ფუნქციიის შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ჩვენი ეკონომიკა ადეკვატური, მოდერნული იქნება, ვგულისხმობ, როგორც ინფ-







რასტრუქტურას ისე ლოჯისტიკას. მხოლოდ გზა არაფერს ნიშნავს, მასზე რაღაცის კეთება უნდა შევძლოთ. გლობალური თვალსაზრისით, ფორუმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩინეთის თანდათანობითი ეკონომიკისა და მისი შესაბამისად, გეო-ეკონომიკური ზეგავლენის ზრდასთან ერთად შეიძინა. ჩინეთის უმთავრესი პროგრამის ნაწილად შეგვიძლია „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ მივიჩნიოთ. აქ, უკვე, ჩინეთს ძალიან დიდი თანხები აქვს ინვესტირებული. ცხადია, ეს მხოლოდ საქართველოს ან ევროპას არ ეხება. ჩინეთის როლი თანდათანობით იზრდება. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ ჩინეთის პროექტის შემადგენელი ნაწილი. აქ, სხვებიც არიან ჩართულნი, თუმცა, ერთი რამ უნდა ითქვას: ბოლოს, როცა ჩინეთში „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ ფართომასშტაბიანად ჩატარდა, ამერიკამ და ევროკავშირის ქვეყნებმა საკმაოდ ცივი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. ამის მიზეზები ნათელია — ეს, გარკვეულწილად, რისკებს უქმნის იმ გავლენებს (ალტერნატივას აჩენს), რაც ამ ქვეყნებს ჰქონდათ, ვგულისხმობ, ეკონომიკურ მხარეს. ამავე დროს, რუსეთიც შუააღმოსავლეთში, განსაკუთრებით ბოლო მოვლენების ფონზე, უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაშს იწყებს, ვიდრე აქამდე ჰქონდა. აქვე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ია-ვარდით მოფენილი არც ეს გზა იქნება. საქართველოზე ჯერ, პრაქტიკულად, არ მისაუბრია. გასათვალისწინებელია ის სირთულეებიც, რაც მაგალითად, თურქული და ქურთული პრობლემის სახით შეიქმნა. ვითარება რაც დღეს ჩამოყალიბდა, მყარად სტაბილური არ არის. ამიტომ, გარკვეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. გლობალური ვითარების პროგნოზირება რთულია, ჩვენ ვხედავთ ისეთ ცვლილებებს, რაც თუნდაც, 5-10 წლის წინ მოსალოდნელი არ იყო. ამ ვითარებაში ცხადია, რომ ასეთი ინიციატივა საინტერესოა. ჩვენ, შეგვიძლია აქ, მნიშვნელოვნად სპეციფიური, ექსკლუზიური ადგილი და როლი შევასრულოთ, მათ შორის, სირთულეების, ამიერკავკასიაში არსებული სხვა დაძაბულობების გათვალისწინებით და ა.შ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამას ძალიან კარგად გააზრებული და მიზანიმართული სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება. როცა ვსაუბრობ აბრეშუმის გზაზე, „ერთი გზა, ერთი სარტყელზე“, აქ, მხოლოდ გზას კი არა, ლოჯისტიკურ ცენტრებსაც ვგულისხმობ. ეს არის, მათ შორის ინდუსტრიული პარკები. წარმოიდგინეთ, გარკვეული პროდუქცია რომელსაც ადგილზე ამზადებ ბევრად იაფი ჯდება. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თუმცა, არ ვიცი რამდენად დიდი პერსპექტივა ექნება. ასევე, ჩინელების მონაწილეობით ქუთაისში დაწყებულია ავეჯის წარმოება, მაგრამ ამას იმ ქვეყნისთვის რომელსაც კარგად გააზრებული და მიზანმიმართული პოლიტიკა არ აქვს, მნიშვნელოვანი რისკებიც ახლავს. ერთი ცნობილი გამონათქვამია: თუ ქვეყანას საკუთარი პოლიტიკა არ აქვს, მაშინ მის მართვას სხვისი პოლიტიკა იწყებს. ანუ, მის მართვას სხვა ქვეყანა დაიწყებს. ცხადია, ჩვენ ვერ ვიქნებით სრულიად სუვერენული, ეს დღეს ამერიკას და ჩინეთსაც კი არ ძალუძს, გარკვეული დამოკიდებულებები იქაც არსებობს. მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საკუთარი პოლიტიკა არ გვაქვს. ამან, ერთგვარად, მეორე პლანზე გადაინაცვლა. გახსოვთ, 90-იან წლებში ტრასეკას პროექტი რომ იყო, რაც მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა ნავთობსა და გაზსადენებს. შემდეგ, მან პოლიტიკურ-ეკონომიკური დღის წესრიგიდან გადაინაცვლა. იგი, დღემდე ფუნქციონირებს. მეტ ფუნქციას, ეს გაზსადენები, ვერც შეასრულებდა, რადგან მიწის ქვეშ გადის და მას არც დიდი ოდენობით ხალხის დასაქმება მოჰყვება და არც რაიმეს ადგილზე აღორძინება. სულ სხვა საქმეა თუ აქ, ინდუსტრიული და ტექნიკურ-ლოჯისტიკური ცენტრები გაკეთდება. ეს ხალხის განვითარებას, სწავლებას შეუწყობს ხელს, ოღონდ, ეს ყველაფერი უნდა გავიაზროთ და პოლიტიკის საერთო კონტექსტში ჩავსვათ. ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ 30 წლის მანძილზე ასეთი ეპიზოდური, ლამაზი იდეების გარშემო ვსაუბრობთ, მაგრამ ეს საერთო პოლიტიკაში არ ჯდება, არამედ ეპიზოდურ, კამპანიური ხასიათი აქვს. სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმწიფო მიზანმიმართული სტრატეგიების მიხედვით არ მოქმედებს. ეს ბევრი პოსტ.საბჭოთა, მნიშვნელოვნად, პოსტკომუნისტური ქვეყნების პრობლემაცაა, მაგრამ ევროკავშირში ამ ქვეყნების გაერთიანებამ გარკვეული წესების დამკვიდრება უზრუნველყო. ევროკავშირი, მისი ქვეყნები სწორედ ასეთი სტრატეგიებით ცხოვრობენ. ჩვენ გვგონია, რომ ხუთწლედები, გეგმები საბჭოთა კავშირის მოგონილი იყო. ასე არ არის. სახელმწიფოს როლი განვითარებაში რიგ ქვეყნებში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ეს ითქმის ამერიკაზე, გერმანიაზე, იაპონიაზე, საფრანგეთზე, აღარაფერს ვამბობ სკანდინავიისა ან ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებზე, სადაც სახელმწიფო მიზანმიმართულ პოლიტიკას აწარმოებს. მათ პირდაპირი გეგმები ჰქონდათ, რომელთაც კანონის სახე აქვთ. მაგალითად, ნორვეგიაში პარლამენტი რვაწლიან გეგმებს განიხილავს, მეფე ამტკიცებს და ხელს აწერს. ყოველ 4 წელიწადში, პარლამენტის არჩევასთან ერთად, გეგმის კორექტირება ხდება. ეს არის ე.წ. ინდიკატური, გეგმები. ამას, პირველ რიგში, სახელმწიფოს ნება, მეორე — კომპეტენცია და მესამე — ფინანსები სჭირდება. თუ პირველი და მეორე არ გაქვს, ფინანსები გადაყრილია. ჩვენც გვაქვს რაღაც პროექტები განხორციელებული. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროში, მაგრამ ეფექტი არ არის. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში იგივე რჩება იმიტომ, რომ ამას სისტემური ხასიათი არ აქვს. რაღაცები კეთდება, მაგრამ ეპიზოდურად. მაგალითად, ხშირად გვესმის, რომ „იუესაიდიმ“ კარგი პროექტები გააკეთა. ეს რას ნიშნავს? — ჯერ გეგმას წერენ, მონიტორინგს ახორციელებენ და ფულს მხოლოდ მერე აძლევენ. ოღონდ, ამას აქვს არა ქვეყნის, არამედ ერთი პროექტის მასშტაბი. ქვეყნის მასშტაბითაც ზუსტად ასე კეთდება. ამიტომ, მოკლედ რომ ვთქვათ: აბრეშუმის გზის და ყველა გლობალური პროექტის სიკეთეები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჩვენი ქვეყნისათვის მაქსიმალურად ან მეტნაკლებად ეფექტური თუ ამას ჩვენს საერთო სტრატეგიაში ჩავსვამთ და მიზანმიმართულ ღონისძიებებს განვახორციელებთ. თუ მარტო იმას ველოდებით, რომ ვიღაც მოვა და ინვესტიციებს განახორციელებს, ეს ტყუილია. ცხადია, უცხოური ინვესტიციები არამხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა დიდ ქვეყნებსაც სჭირდებათ მაგრამ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს გეგმა, ხედვა აქვს და ინვესტიციების ნაწილს თვითონ ახორციელებს. ხშირად მოჰყავთ სინგაპურის მაგალითი. პირველი 15 წლის განმავლობაში სინგაპურის ეკონომიკაში ინვესტიციების 60%-ს სახელმწიფო ახორციელებდა. თუ ინვესტორი დაინახავს, რომ რაღაც კეთდება რის უკანაც გეგმა, სახელმწიფო გარანტიები დევს, ასე, შეიძლება „მერსედესმა“, „ფილიპსმა“, „ელჯიმაც“კი ჩადოს ინვესტიციები. რასაც ეს კომპანიები ჰუმანიტარული მიზნებით აკეთებენ, ეს ჩვენს ქვეყანას ვერ ააღორძინებს. ასეთი ჰუმანიტარული დახმარება აფრიკაში ბევრია, მაგრამ იგი სიღარიბიდან ვერ გამოვიდა. კი ბატონო, შედეგად, აფრიკაში ადამიანები აღარ იხოცებიან, მაგრამ ისინი არ ვითარდებიან. ეს გადარჩენის ეკონომიკაა. ჩვენ უნდა წავიდეთ განვითარების ეკონომიკის გზით და არა გადარჩენის როგორც ეს აფრიკაშია. თორემ, იქამდე მივალთ, რომ გადარჩენის ეკონომიკასაც ველარ შევწვდებით. ერთსაც გეტყვით: დღეს თუ ფუნდამენტურად, აბსოლუტურად, ნებაზემიშვებული, ნეოლიბერალური ვერსიის ეკონომიკა გაგრძელდა, ეკონომიკას, გლობალურად, ძალიან სერიოზული რეცესია, დაცემა, შემცირება ემუქრება.

**— ბატონო გია, პომპეომ განაცხადა: ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, მაგრამ არც რუსული ფულით და არც ჩინურითო. ეს რას ნიშნავს?**

— აქ, არსებითია ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე: შენი პოლიტიკა თუ არ გაქვს, სხვისი პოლიტიკის გამტარებელი გახდები. რაც შეეხება პომპეოს განცხადებას ჩინეთთან დაკავშირებით, ეს ქვეყანა, დღეს, აშშ-სთვის უფრო პრობლემურია, ვიდრე რუსეთი. ამიტომ, პომპეო ამით აშშ-ს პრობლემაზე ლაპარაკობს. თუ საკუთარი ხედვა არ გვექნა, მაშინ ჩვენ, ამ



პოლიტიკის ნაწილად ვიქცევით და ვერავითარ ზეგავლენას ვეღარ მოვახდენთ. საბედნიეროდ, ჯერ ისევ გვაქვს შესაძლებლობა სუვერენული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

**— პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ აშშ-ს ჩვენს მიმართ მკვეთრად გამოხატული განვითარების სტრატეგიული გეგმა არ აქვს?**

— საქმე ისაა, რომ ამ გეგმაშიც არ ვართ. ერთი საკითხია, რომ თავად სახელმწიფო არ მონაწილეობს ანაკლიის პორტის საკითხში და მეტიც, ამერიკული კომპანიაც კი რომელიც ჩართული იყო, ამ საქმიდან გადის, თან იგი მთავარი მონაწილე არც იყო. პომპეო გვეუბნება: არც მე გაკეთებინებ და არც შენ გააკეთო, ითანამშრომლე მასთან ვისზეც მე გეტყვი, ოღონდ, ეს ყოველივე შენთვის რამდენად სარგებლიანია იქნება ან პირიქით, ამაზე ნუ იფიქრებო.

**— ასე ხომ შეიძლება კომპანიებს რომლებიც შემოსულნი არიან მოტივაცია დაეკარგოთ? გამოდის, დამოუკიდებელი ქვეყანა ნაკლებად ვართ?**

— ნუ, ახლა, ჩინეთი ამის გამო ომს არ დაგვიწყებს, ადგება და სხვაგან ჩადებს ინვესტიციას. რასაკვირველია, დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ. თავად თუ არ დავიწყეთ დეკოლონიზება, არაფერი გამოვა. ჩვენ, მიჩვეული ვიყავით, რომ ადრე, ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა. ახლა ვეძებთ სხვა ადგილს, სადაც ჩვენს მაგივრად გადაწყვეტილებას მიიღებენ, რადგან ამას თავად ვერ ვაკეთებთ. ამიტომ გვაქვს მოლოდინი, რომ მეორე მოსკოვს ვიპოვით, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ეს განწყობა დარჩა, რაც შეცდომაა. ჩვენ არ უნდა ვიპოვოთ მეორე მოსკოვი. პირველი მოსკოვიც არ იყო კარგი. ეს კარგია მხოლოდ მაშინ, როცა გადაწყვეტილებებს თავად იღებ. რა თქმა უნდა, იზოლაციონიზმი შეუძლებელია, მაგრამ მოქმედება თავად უნდა დავიწყოთ. რეალური საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ინტერესებს ეყრდნობა, არა იდეოლოგიურს, არამედ პრაგმატულს — ქვეყნის ინტერესებზე დაყრდნობილ პოლიტიკას. მაგალითად, აშშ-ს ყველაზე მეგობრული ურთიერთობა არაბული ქვეყნებიდან საუდის არაბეთთან აქვს. დემოკრატიისთვის ბრძოლის ეგიდით, საუდის არაბეთის ყველაზე უკეთეს მეგობრად წარმოჩენა, რბილად რომ ვთქვათ ნონსესია, თუ პირდაპირ ცინიზმი არ არის. ცხადია, იგი ყველაზე უფრო არადემოკრატიული არაბული სახელმწიფოა. ჩვენ, ხშირად, რაღაც სიტყვებს სიმბოლოებად, მითებად ვაქცევთ და რეალობას ვკარგავთ. ამავე დროს, ამ ვითარებაში ცალკეული ჯგუფები რაღაც შედეგებს იღებენ და მთლიანობაში ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა განუვითარებელი რჩება. ანუ, ქვეყანას განვითარების პერსპექტივა ესპობა. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: რამდენიმე დღის წინ პრემიერმა განცხადება გააკეთა, რომ ავიაფრენების შეზღუდვის გამო საქართველოს ბიუჯეტმა 350 მილიონი დოლარი დაკარგა. ეს იცით, რას ნიშნავს? — 350 მილიონი დოლარი ჩვენი ბიუჯეტის, თითქმის, 10%-ია. ეს უზარმაზარი თანხაა და ბუნებრივია, სერიოზული დარტყმაა ქართულ ეკონომიკაზე. ეს ხომ გაუთვლელი მოქმედებების შედეგია. რა თქმა უნდა, პროვოკატორი ყველა ქვეყანაშია. საქართველო გამონაკლისი არ არის. ბევრჯერ ვყოფილვარ ევროპარლამენტში და თუ გგონიათ ჩვენი დეპუტატები დაბალი კომპეტენციით გამოირჩევიან, ცდებით. აშშ-შიც და სხვაგანაც ასეთი ბევრია. მოსახლეობა ერთგვაროვანი არ არის. ხალხი მმართველებს ინტელექტუალური კოეფიციენტების მიხედვით არ ირჩევს. ამიტომ, ამის გათვალისწინებით წამყვანი ძალა რაციონალური, ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული უნდა იყოს. ეს რომ მოახერხო ძალიან მკაფიო საკუთარი სტრატეგია უნდა გქონდეს და მასზე მიდევნება შეგეძლოს. თუ ეს არ გაქვს, მაშინ ამ პროვოკაციების ტყვე ხარ. შედეგად, მოსახლეობამ დიდი დარტყმა მიიღო. ეს დასუსტება გააძლიერებს ყველა მხრიდან ნებისმიერი ტიპის ოკუპაციისა და ზეგავლენის საფრთხეს. რაც სუსტი იქნება ქვეყანა, მით მეტი იქნება სხვების გავლენები.

**— როგორ ფიქრობთ, ჩვენ, ქართული კომუნიზმის მშენებლობა ხომ არ დავიწყეთ? კომუნიზმს ვაშენებდით და ყველა ციფრი გაბერილი იყო, ახლა, იგივე ამათაც დაიწყეს.**



— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ იგივე მითოსური, უტოპისტური ტიპის იდეოლოგიაა, რაც მაშინ იყო, ხომ? საბჭოთა კავშირში ვინც ვცხოვრობდით კარგად გვახსოვს: მუდმივად იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მომავალი თაობები კომუნიზმში იცხოვრებენ და არა ის თაობავინც ამაზე საუბრობდა. სხვათა შორის, უტოპიები რელიგიიდან არის აღებული. პირველი უტოპიები ქრისტიანული გახლავთ. ანუ, რწმენა იმქვეყნიური ცხოვრებისა, მაგრამ ეს ამ ცხოვრებაში არ უნდა მოხდეს. ეს უტოპიები კი ამბობს, რომ ეს ამ ცხოვრებაში მოხდება, მაგრამ ყოველთვის მომავალში. ანუ, ის რაც რელიგიაშია, ადამიანს მოტივაციას აძლევს, ხოლო ეს უკანასკნელი პირიქით, მოტივაციას უსპობს. დღევანდელ ცხოვრებაში მყოფი ადამიანი სულ მომავალზე ვერ იფიქრებს. ერთი ანეკდოტი მახსენდება: ბრეჟნევმა ხალხს მიმართა: მომავალ ხუთწლედში ჩვენ კიდევ უფრო უკეთ ვიცხოვრებთო, ვიღაცამ ამოსძახა — ჩვენ რა გვეშველებაო? სხვათა შორის, მმართველი გუნდის პოლიტიკის ბევრი რამ არ მომწონს, მაგრამ მისასალმებელი იყო პრემიერის სიტყვები, რომელიც მან პარლამენტში წარმოსთქვა: არ დავიწყებ ახლა იმაზე საუბარს, რომ უმუშევრობა შევამცირეთ, ეს ციფრები არაფერთან არ არის კავშირში. მთავარია რომ ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვსო. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ბიზნესის კეთების რეიტინგით მეშვიდე ადგილზე ვართ. ეს რეიტინგი რად გინდა, მაშინ როცა, რეალურად, ბიზნესს უჭირს. წაკითხული მაქვს: ბიზნესის კეთების ინდექსის მთავარი ავტორები და ლობისტები 90-იან წლებში იყვნენ ბულგარეთის ერთ-ერთი პრემიერ-მინისტრი კახა ბენდუქიძე და ანდრეი ილარიონოვი. ესენი ცნობილი ნეოლიბერალები არიან. მაშინ, მსოფლიოში პირველ ადგილზე ერთი რამით ვიყავით: თანამშრომელს ყოველგვარი პირობის გარეშე ვათავისუფლებდით. რეიტინგი 0-დან 10-ქულამდეა. ჩვენ გვქონდა 0, ანუ ადამიანს სამსახურიდან უპირობოდ ვათავისუფლებდით. აი, რაში ვიყავით პირველები. ამ დროს, იაპონიის წარმატება, სხვა რამესთან ერთად, დაკავშირებულია ადამიანების მუდმივ დაქირავებასთან.

აქვე, მოგახსენებთ შემდეგს: „ჰერითეიჯ ფაუნდეიშენის“ საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორმა ლიუკ კოფმა განაცხადა: კარგი იქნება თუ სირიიდან გამოსული აშშ-ს ჯარები სამხრეთ საქართველოში განთავსდებაო. ლიუკ კოფი, სინამდვილეში, არავინ არის. მისი არასამთავრობო არ გახლავთ არც ჰარვარდის უნივერსიტეტი, არც მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაცია. არაფერი იცის აქ, რა ხდება და ამ დროს, ასეთ რამეს ამბობს. ჩვენ კი ამაზე სერიოზულ მსჯელობას ვიწყებთ. ცხადია, ძლიერ სახელმწიფოებშიც არსებობენ არაკომპეტენტური ხალხი, მაგრამ მათი ქვეყანა ამით არ დაინგრევა, ჩვენ კი ნელნელა ვინგრევით. ისევ იმ პრობლემას მივადექით: თუ შენი არ გაქვს, იწყებ სხვის ძებნას — ლიუკ კოფმა რა თქვა, რომელიღაცა ენჯეომ რა რეიტინგი გააკეთა და ა.შ. სანამ საქართველოში ეს ლიბერალური თუ ნეოლიბერალური იდეოლოგია სოციალ-დემოკრატიულით არ შეიცვლება, რომელიც ჯანსაღ ტრადიციონალიზმს, კონსერვატიზმს დაეყრდნობა, იქამდე არაფერი გვეშველება.

**— ნეოლიბერალური იდეოლოგია რას გულისხმობს?**

— ეს არის სახელმწიფოს მიერ ქვეყნისა და ადამიანების ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის, მაქსიმალურად, სრულად მოხსნა. ანუ, ინდივიდები თქვენით განვითარდით, მე პასუხისმგებლობას ვიხსნი, როგორც გაკეთდება ისე გაკეთდეს, ეს ჩემი საქმე არ არისო. რა თქმა უნდა, არცერთ განვითარებულ ქვეყანას ეს პოლიტიკა არ უწარმოებია. ამის მთავარი იდეოლოგები რეიგანი



და ტეტჩერი იყვნენ. ეს იდეოლოგია მათ დროს გაძლიერდა, რამაც მთლიანობაში, ამ ქვეყნებში, განვითარების ტემპები ძალიან შეასუსტა, მნიშვნელოვანწილად დაასუსტა სახელმწიფოებიც გრძელვადიან პერსპექტივაში. ანუ, ეს არის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის მოხსნა. ამის ალტერნატივად ჩვენ, მაგალითად, ტოტალიტარული სისტემა წარმოგვედგინა, სადაც სახელმწიფო ამბობს: ყველაფერს მე გავაკეთებ, შენ არაფერი გადაწყვიტო და ა.შ. ე.ი. ჩვენთან საკუთრების გაფეტიშება ხდება. საკუთრების პრინციპი მარტო შვეციაში კი არ იყო, სადაც კარგად ცხოვრობდნენ, არამედ პერუშიც და კოლუმბიაშიც. სინამდვილეში, თავად უნდა იმოქმედო. ამის ალტერნატივა არის ის პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო როგორც სტრატეგიას ისე განსაზღვრავს, მათ შორის, როგორც საგარეო, ისე შიდა პრიორიტეტებს. თუ ქვეყნის შიგნით სახელმწიფო, ეკონომიკურ პოლიტიკას არ საზღვრავ, ხალხი როგორ ცხოვრობს არ გაინტერესებს, საგარეო პოლიტიკას როგორ განსაზღვრავ? — ვერ განსაზღვრავ, ხომ. მით უმეტეს, ამ გლობალურ სისტემაში. სინამდვილეში, ასე ტრანსნაციონალური კომპანიების მონად იქცევი. დღევანდელი გლობალიზაცია, ზოგადად, სახელმწიფოებს ასუსტებს. ამიტომაც დღეს მთელს მსოფლიოში სუვერენიტეტს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ. მაგალითად, ტრამპმა გაეროში თქვა: გლობალიზაცია კი არა, სუვერენიზაცია უნდა მოხდესო. პატრიოტიზმი მარტო მიყვარხარ-ს ძახილი არ არის. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ამან ეროვნული ნიჰილიზმის გრძნობამდე მიგვიყვანა. სინამდვილეში, ხშირად, ჩვენი პატრიოტიზმიც ამ ნიჰილიზმის ნაყოფია. წარსული გვიყვარს. ისე უნდა განვვითარდეთ, რომ ჩვენი ადგილი დავიკავოთ. იზოლირებულად ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ თუ საკუთარი პოლიტიკა გვექნება, ამის დარეგულირებასაც შევძლებთ. რეტროსპექტული ეროვნული სიამაყე გვაქვს. დავით აღმაშენებელს მივსტირით, დღეს კი ხელთ არაფერი გვაქვს.

**— ბატონო გია, თქვენ ექვსი წელი „ქართულ ოცნებაში“ იყავით და ალბათ, ხშირად, საუბრობდით ამ პრობლემებზე. რატომ არ ითვალისწინებს მმართველი ძალა პროფესიონალების აზრსა და რჩევებს?**

— 2020 წელს 30 წელი სრულდება, რაც ქვეყანაში პირველი არჩევნები ჩატარდა. ჩვენ, მუდმივად ნეგაციაზე აგებული იდეოლოგია გვაქვს — ყველაფერზე არ გვინდას გავიძახით, არც საბჭოთა კავშირი გვინდოდა. მართლა თუ გვინდა სახელმწიფოს შექმნა, მაშინ საკითხი ასე უნდა დავსვათ — ჩვენ, რა გვინდა აი, ეს არის ჩვენი ამოცანა. თუ ჩავთვლით, რომ ყველაფერი რაც გვინდოდა საბჭოთა კავშირის დაშლის სახით უკვე გაკეთდა, ასე ვერაფერს მივაღწევთ. ერთი მეცნიერი მიიჩნევდა საბჭოთა კავშირის დანგრევით, ისტორია დასრულდა და რომ ამის შემდგომ ლიბერალ-დემოკრატიული წესრიგი დამყარდა. სინამდვილეში, ეს ნეო-ლიბერალური წესრიგია, რაც მთელ რიგ ძალიან ძლიერ ჯგუფებს აწყობდათ როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. ზემოთ ვახსენე, რომ გადაწყვეტილებები მოსკოვში მიიღებოდა, რასაც მიჩვეული ვიყავით, მერე, გვეგონა სხვა მოსკოვი წყვეტდა ყველაფერს და შედეგი რაც მივიღეთ, სახეზეა. ეს ინერცია ძალიან ძლიერია, რამაც განსაკუთრებით კანონიკური ხასიათი „ნაცმოძრაობის“ დროს მიიღო. თუ ეკონომიკურ პოლიტიკას არ ცვლი, დანარჩენი, ყველაფერი, იგივე რჩება. ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების კონცენტრირება მხოლოდ ვიწრო ჯგუფებში ხდება, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეკონომიკური წინსვლა არ ეხება, ქვეყანა განუვითარებელი რჩება, თუმცა, რომელიღაც ბანკი ან სავაჭრო ორგანიზაცია ან იმპორტიორი კომპანია კარგად ცხოვრობს. აი, ამ ინერციას მივყვებით. შეიძლება რაღაც იცვლება, მაგრამ ჩვენ, ეს არ ვიცით. „ქართული ოცნების“ მოსვლის მერე, ამ პოლიტიკამ ჰუმანისტური მიმართულება ნამდვილად შეიძინა — რეპრესიები მორჩა, რაღაც სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ არა სისტემური. ჩვენი საუბრები სწორედ ამას ეხებოდა — სისტემური ხასიათის ნაბიჯები გადადგმულიყო. ამის დაძლევა ძალიან რთულია. თუმცა, იმედს მაძლევს ის, რომ ამ სინამდვილეში ბევრი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომელსაც საბჭოთა კავშირი არ უნახავს. ეს ახალგაზრდები დღევანდელობით უკმაყოფილონი არიან და ფიქრს იწყებენ. ეს მნიშვნელოვანია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# გაზომილია, აწონილია, გაყოფილია



**მენე** — გაზომილია თქვენი გზა და ერთი მტკაველის დადებაა სულ, მეტი არა.
**ტეკელ** — აწონილია თქვენი პოლიტიკური წონა და სასწორი ნულს აჩვენებს.
**ფარეს** — გაყოფილია თქვენი ავტორიტეტი და ნახევარი სააკაშვილს ეკუთვნის, ნახევარი — ოქრუაშვილს.

კაცი გვეგონა, პატრიოტი გვეგონა, მამულიშვილი გვეგონა და ჩარჩ-ვაჭარი აღმოჩნდა, რომელიც სამშობლოს სახელით ვაჭრობს, სამშობლოს სიყვარულის თემით სპეკულანტობს.

ისე იცემდა მჯის მკერდზე, ისეთ სიტყვებს ამბობდა, ქვეყნის გულშემატკივარი და ჭირისუფალი გვეგონა, ეს კი ჩვეულებრივი მსუბუქი ყოფაქცევის არსებაა თურმე, რომელიც ხან ერთს მიეყიდება, ხან მეორეს, ხან მესამეს.

მთელი ცხოვრება გვატყუებდა და გვეთვალთმაქცებოდა, საქართველოზე ფიქრმა და დარდმა დამასიაო, გვარწმუნებდა, ამ დროს მხოლოდ იმაზე ჩალიჩობდა საქართველოს უბედურების ხარჯზე როგორ ეშოვა „მაყუთი“.

„ქართულ ოცნებაში“ მივიდა და, — რა „ქართული ოცნება“, რისი „ქართული ოცნება“, მე ერთი ოცნება მაქვს — მილიონერი უნდა გავხდეო, — გაუმხილა მეგობარს, და იქვე ბაზრის დედაკაცივით იჭორავა ადამიანზე, რომლის მადლიერიც უნდა



ყოფილიყო მთელი ცხოვრება.

მისი ქვებუდანობის ამბავი რომ გასკდა, იმდენი კაცობა არ ეყო, ამდგარიყო და წამოსულიყო იმ პარლამენტიდან, სადაც მის მიერ გაჭორილმა ადამიანმა თავისი მხრებით შეიყვანა.

ვერ ასწია მძიმე უკანალი, ვერ შეელია პარლამენტარის ხელფასს, ვერ დათმო სხვა პრივილეგიები და ოთხი წელი პარლამენტარის სავარძელში იჯდა, კი არ იჯდა, იდო კუნძივით.

თავმოყვარეობის და ღირსების ნატამალი არ აღმოაჩნდა კაცს, რომელიც მანამდე მთელ ერს თავმოყვარეობაზე და ღირსებაზე ელაპარაკებოდა გამუდმებით.

ამასწინათ ნიკუტა გვარამიასთან დაჯდა მორჭმით და საკუთარი თავი ბოლომდე ამხილა, ბოლომდე გაშიშვლდა და გატიტვლდა კიკუსავით.

ამის ხარბი ხასიათი და მადა რომ ვიცით, საბრალო კიკუსავით ეს ორ და სამ თუმნად არ გაიხდის. როგორც ჩანს, მილიონებზე ოცნებობს ისევ და ვიღაც-ვიღაცები ჰპირდებიან, რომ ნატვრას შეუსრულებენ, ოღონდ ივანიშვილის დამხობაში დაეხმაროს რევანშისტებს, ქვეყნის მტრებს და პროვოკატორებს.

ესეც, რა თქმა უნდა, თანახმაა, — ოღონდ საქართველო გადაარჩინოს, ოღონდ საქართველო იხსნას ივანიშვილისგან და მზად არის სააკაშვილს, ოქრუაშვილს, ბოკერიას, ბარამიძეს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ყველა არამზადას და ავაზაკს, ძმობის ფიც-ვერცხლით შეეკრას.

არადა, დრო იყო, ზემოთჩამოთვლილ ამხანაგებს და კიდევ სხვებს, ვითომდა ხმალამოღებული ებრძოდა, ამ დროს კი ჩვენს ზურგს უკან ემეგობრებოდა და ემმაკაცებოდა თურმე.

— ირაკლი ჩემი ძმა არის, ჩემი მეგობარია... ამ დროს არ მაჩვენებენ, ნიკა – ისეთი ხმით შესტირა ნიკუტას, კაცს გული დაეთუთქებოდა.

შუბლის ძარღვი აქვს ამ კაცს გაწყვეტილი, კაცს კი შუბლის ძარღვი რომ გაუწყდება, მერე იმისი საქმე წასულია — ყველაფერს იკადრებს, ყველანაირ სიგლახეს ჩაიდენს.

ადამიანი თუ კაცად არ ვარგა, ის არც პოლიტიკოსად ვარგა, თუმცა შევარდნაძის მოძღვრების მიხედვით, პოლიტიკა ბინძური საქმეა და რაც უფრო ბინძური ხარ, მით უფრო წარმატებული იქნები.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმაც დაიჯერა ეს და რაც უფრო ბინძურია პოლიტიკოსი, მით უფრო ბევრი ხალხი მისდევს უკან...

ეტყობა, ამასაც ამის იმედი აქვს და ამიტომაც გადაწყვიტა, თვითონაც ბოლომდე გაბანძდეს და გაბინძურდეს და ბინძურების „არმიაში“ პოლიტხელის თანამდებობას გამოჰკრას ხელი.

— ივანიშვილი ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი კაცია, ფსიქოპატია... არ დავმალავ: უახლოეს ხანებში, წლის ბოლომდე მაინც, უკრაინაში ჩასვლას და სააკაშვილთან შეხვედრას ვაპირებ, — განაცხადა პატივცემულმა.

მე მგონი, ეს პატივცემული თვითონ ვერ არის საღ ჭკუაზე,



თორემ მსოფლიოს შვიდი წამყვანი ფსიქიატრის მიერ გიჟად შერაცხულ სააკაშვილთან როგორ მიდის ჭკუის საკითხავად და სათათბიროდ.

ივანიშვილი „არანორმალურია“ და სააკაშვილი არის ნორმალური, შე ფუყევ და ფუტუროვ?

— ოქრუაშვილმა წერილი მისწერა ბიძინას: შენი სასახლის კედლებზე უკვე დაწერილია სამი არამეული სიტყვა: **მენე! ტეკელ! ფარეს!** რაც ასე ითარგმნება: **გაზომილია! აწონილია! გაყოფილია!**

— ესე იგი, დამთავრებულია ივანიშვილის საქმეო? —აჭყლიპინდა ნიკუტა და სიხარულისგან ყბა-სახისა და ზედა კიდურების კონვულსიური მოძრაობები დაეწყო.

— კი, დამთავრებულია! — დაუდასტურა ამან ბრძნული გამომეტყველებით და კატეგორიული ტონით, თითქოს ბალთაზარის წინასწარმეტყველი დანიელი თვითონ იყოს და ნათელმხილველობის უებრო ნიჭი გააჩნდეს.

დანიელი კი არა საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისია ეს საბრალო, ისე როგორც მისი ყონაღი ირაკლი.

რადგან ბევრი ქონი აქვს, ჰგონია, რომ ბევრს იწონის მისი ავტორიტეტი, მისი სიტყვა.

რადგან ბევრი იხეტიალა ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში, მეორედან მესამეში, ჰგონია, რომ კილომეტრებით იზომება მისი პოლიტიკური გზა.

არა, ბატონო, არა, ტყუილად იბრიქებით და ტყუილად იბერებით თქვენ.

**მენე** — გაზომილია თქვენი გზა და ერთი მტკაველის დადებაა სულ, მეტი არა.

**ტეკელ** — აწონილია თქვენი პოლიტიკური წონა და სასწორი ნულს აჩვენებს.

**ფარეს** — გაყოფილია თქვენი ავტორიტეტი და ნახევარი სააკაშვილს ეკუთვნის, ნახევარი — ოქრუაშვილს.

**ვახტანგ ხარჩილავა**



**P.S. ციმბირიდან რომ გამორბოდნენ კატორღელები, რომელიმე მსუქან, ხორციან კატორღელს შეარჩევდნენ ხოლმე გზაში შესაჭმელად.**

**თქვენც ამ ნიშნით ხართ შერჩეული, პატივცემულო და ეს თქვენი ახლადშეძენილი მეგობრები, სურსათ-სანოვაგე რომ შემოაკლდებათ, აუცილებლად შეგჭამენ.**

**ვ.ხ**

# ქართველი სულ რომ „ყურებზე დადგეს", რუსი მაინც მოძებნის მიზეზს ჩვენს გასამწარებლად, ამიტომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანას ჭირდება

## რუსეთი ნატოს გემებსაც შეეგუება, ჩვენს ნატოში გაწევრიანებასაც, ამერიკის ჯარების შემოყვანასაც და ცხინვალისა და აფხაზეთის დაბრუნებასაც. აგერ ნახავთ თუ არა



**24 ოქტომბერს გავრცელდა ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის განცხადება, სადაც წერია, რომ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ე.წ. საზღვრის მონაკვეთზე მასშტაბურ პროვოკაციას ამზადებენ.ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი აღნიშნავს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს ქართველი პოლიციელების ყოფნა და ბლოკპოსტის დადგმა არსებითად ზრდის სამხედრო საშიშროების რისკებს, რასაც შესაძლოა, ღია შეიარაღებული შეტაკება მოჰყვეს შედეგად.**

**„სამხრეთ ოსეთის დასახლებასთან ქართული საგუშაგოებისა და პოლიციელების ყოფნა სამხედრო საფრთხის რისკებს ზრდის, რამაც შესაძლოა შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიოს,"- წერია სეპარატისტების განცხადებაში.**

**25 ოქტომბერს ბათუმის ნავსადგურში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთი შემოვიდა. აჭარაში ნატოს გემების შემოსვლის პარალელურად, ოკუპირებულ ცხინვალში "სასწავლო მიზნებით" საბრძოლო რეჟიმი გამოცხადდა.**

**ბრძანება ამის შესახებ დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა, იბრაჰიმ ჰასაევმა გასცა. დე ფაქტო უწყების განცხადებით, მათი მიზანია შეამოწმონ რამდენად მზად არის სამხედრო განყოფილება, რომ შეასრულოს თავისი ფუნქციები სხვადასხვა პირობებში. საბრძოლო რეჟიმი სპეციალური ბრძანების გაცემამდე გაგრძელდება.**

**26 ოქტომბერს, ჟურნალისტებთან საუბრისას შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მხრიდან მუქარები ხშირია და თუ ცეცხლს გახსნიან, საქართველო მზადაა საპასუხო ქმედებისთვის. "ეს პირველი არ არის, ხშირად ხდება მუქარა, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ, ცეცხლს გავხსნით. ჩვენ მაქსიმალურად ვზად ვართ და თუ გახსნიან ჩვენც ვუპასუხებთ რომ დავიცვათ მოსახლეობა და ტერიტორიები"- აღნიშნა გომელაურმა.**

**რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს საოკუპაციო ზოლთან ვითარების დაძაბვას და რეალურად, არსებობს თუ არა კონფლიქტის საფრთხე? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს" "კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ესაუბრა:**

— 1992 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს და ქართველ ხალხს ერთმანეთი ახოცინეს, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება ეწყინება რამე რუსს თუ არა, უნდა რამე რუსს თუ არა? რუსეთთან ურთიერთობაში რაღაც კნინობითი ფორმა ავირჩიეთ, რომ ჩვენ ღარიბები, სუსტები და ცუდე-



ბი ვართ, ამიტომ რუსს ყველაფერი უნდა დავუთმოთ და ყველა კაპრიზი შევუსრულოთ. ქართველი სულ რომ „ყურებზე დადგეს", რუსი მაინც მოძებნის მიზეზს, ამიტომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანას ჭირდება. რუსი შეეგუება თუ არა, მისი საქმეა. დასავლეთთან ურთიერთობა აერია, მაგრამ ვერაფერს უბედავს, თურქეთმა სირიაში ტერიტორია წაართვა, მაგრამ ვერაფერს უბედავს და მილიონ 200 000 და 4 მილიონ ქართველს მოერია. თანაც, იქ ქიმია იხმარა, აქ 6-ჯერ მეტი ჯარი შემოიყვანა, მაგრამ ხმელეთზე ვერც ჩვენ მოგვიგო, ვერც ჩეჩნებს და სააკაშვილი რომ არ გაქცეულიყო, შეიძლება რუსეთისთვის ძალიან ცუდი შედეგი დამდგარიყო. დღეს რუსეთი არ არის ისეთი ძლიერი მტერი ჩვენთვის, როგორც თავის დროზე შაჰ- აბასი და სპარსეთი გახლდათ. თუ მაშინ ვიომეთ, თავი გავიტანეთ და აქამდე კაცურად მოვედით, ახლა რა დაგვემართა? ასე, რომ რუსეთი ნატოს გემებსაც შეეგუება, ჩვენს ნატოში გაწევრიანებასაც, ამერიკის ჯარების შემოყვანასაც და ცხინვალისა და აფხაზეთის დაბრუნებასაც. აგერ ნახავთ თუ არა.

**— გამოდის, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არა აქვს?**

— რუსეთთან დიალოგი ორ ფორმატში მიმდინარეობს. ერთი საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობითა და მეთვალყურეობით და მეორე პირდაპირ — აბაშიძე კარასინის ფორმატში. ამის იქით მხოლოდ რუსეთის და კგბ-ს ნააგენტარების ხელოვნურად შექმნილი პარტიები და ვიღაცა სასაცილო ხალხია, რომელთა ინიციატივები ყოვლად მიუღებელია.

**— ხელისუფლების პირველი პირების პირდაპირი კონტაქტი ვიგულისხმე. ცნობილია, რომ ზელენსკისა და პუტინს შორის რამდენიმე სატელეფონო კონტაქტები შედგა. ასეთი რამ ჩვენს შემთხვევაში თუ არის შესაძლებელი და რამდენად შედეგიანი იქნება?**

— თქვენ როგორ ფიქრობთ, პუტინს საქართველოში პირველ პირებთან კონტაქტი რომ სდომოდა, აქამდე ვერ მოახერხებდა? პუტინს აფხაზეთი და ცხინვალი ამერიკელებთან და ევროპასთან სავაჭროდ ჭირდება და ქართველთან პირდაპირ ხაზზე დიალოგი მის ინტერესებში არ შედის. ჩვენგან განსხვავებით, 40 მილიონიანი უკრაინის ეშინია და იმიტომ ელაპარაკება. უკრაინას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი აქვს და ახლა კიდევ ამერიკა ნატოს ტექნოლოგიებით აღიარებს.

**— ომი არ გვინდა, დიალოგი არ გამოდის, კონფლიქტების მოგვარების კიდევ რა გზა არსებობს?**

— 1992 წლიდან ვიდრე დღემდე ყველა კონფლიქტი, გაუგებრობა და თუ გნებავთ, ომი დაალაგა, მოაგვარა და დაამთავრა საერთაშორისო საზოგადოებამ და ახლა რას ელით, რომ პირველი პირები ერთმანეთს დაელაპარაკებიან და ამით ყველაფერი დამთავრდება? ამიტომ გამოსავალი ისევ იმ ორ ფორმატშია, რომელიც ზემოთ ვახსენე. შეიძლება პროვოკაციას იმიტომაც გიწყობენ, რომ დაურეკო ეხვეწო და პუტინის მთავრობამ შიდა პოლიტიკური ბაზრისთვის ქულები დაიწეროს. თქვენ რა გგონიათ, რუსეთში ვერ მიხვდნენ, რომ სირიაში წააგეს? რომ სირიაში რუსეთის ბატონობა დამთავრდა და ცხვირწინ, ორი თურქმანული და ქურთული ავტონომია მიიღეს? ახლა პუტინს შიდა პრობლემებიდან ყურადღების გარეთ გადატანა სჭირდება. აფრიკაშიც ამიტომ ჩაფრინდა. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა მოხდა სირიაში და კიდევ რა მოხდება. ისიც ვიცით, სამხრეთ კავკასიაში რა მოხდება. ასე, რომ ცოტა უნდა დავმშვიდდეთ და პროცესებს მივყვეთ.

**- ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე, არსებობს თუ არა საოკუპაციო ხაზთან შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე?**

— ცხინვალელი ოსები ცეცხლის გახსნას დაგვპირდნენ, რაც ძალიან სასაცილოა. თუ რუსეთი ნებას არ მისცემს, ვერანაირად ვერ გახსნიან და თუ რუსი ნებას მისცემს, მაშინ ჩვენც თავი უნდა დავიცვათ, სააკაშვილის გუნდის წევრებივით არ უნდა გავიქცეთ და ღირსეულად ვუპასუხოთ, როგორც მტერს ეკადრება. თუმცა, ჩვენ ძალიან ეჭვი გვეპარება, რომ ეს გართულდეს. ეს რიგითი პროვოკაცია მგონია და არც იმას გამოვრიცხავ, რომ შიგნით ე.წ. სეპარატისტული მთავრობა რაღაცა მესიჯების დონეზე ვაჭრობდეს კრემლთან და შეშინებული ყურადრების მიქცევას ცდილობდეს.

**— ამერიკელი ანალიტიკოსის, ლუკ კოფის ინიციატივაზე რა აზრის ხართ, რომელიც სირიიდან გამოყვანილი ამერიკული ჯარის ნაწილების საქართველოში განთავსებას ითვალისწინებს.**

— ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას არასოდეს ასეთი მოსაზრება არ გამოუთქვამს. ეს იყო ერთი სპეციალისტის მოსაზრება, რომელსაც ჩვენთვის აშკარად კარგი უნდა იმიტომ, რომ ჩვენზე კარგად ხედავს სასოწარკვეთილი რუსეთის არაადექვატურ განცხადებებს და მოქმედებებს. ჩვენ არც ის გვგონია, რომ ამერიკა სირიიდან ჯარს გაიყვანს და არც ის, რომ საქართველოში შემოიყვანს. აშშ-ს რაც 2015 წელს უნდოდა, სირიაში ის გააკეთა და სასურველზე მეტი შედეგიც მიიღო რაც იყო ამერიკული დიპლომატიის დიდი გამარჯვება. თუ ჯარს გაიყვანს, ან საუდის არაბეთში გაიყვანს და ან ერაყში. აქ რომ შემოიყვანოს, ბაზა არ არის და სად უნდა შემოიყვანოს?



**— როგორც კოფი ამბობს, ამისთვის შეიძლება ძველი საბჭოთა ბაზების გამოყენება**

— ვერ გეტყვით. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ უფრო კონკრეტული ხალხი ვართ და მკითხაობას ვერ დავიწყებთ. აშშ-ს რომ ჯარის შემოყვანა სდომოდა, აქამდე შემოიყვანდა. რამდენიმე სწავლება ჩაატარა, მაგრამ ჯარი არ დატოვა. ჭორაობა და ჭიქაში ქარიშხლის მიზეზების ძებნა ტყუილი დროის კარგვა გვგონია. შემოიყვანენ, ხომ კარგი, არ შემოიყვანენ და მაგათი ნებაა. გამუდმებით იმაზე ფიქრი, ვაიმე რუსეთთან არ დაგვეძაბოს, ვაიმე თურქეთთან არ დაგვეძაბოს, არ შეიძლება. ეს იცით რატომ გვჭირს? იმიტომ რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო მარტო ფურცელზე ვართ და მოსახლეობის მოთხოვნების 70% გარედან შემოტანილი პროდუქტით ვაკმაყოფილებთ. ჩვენ რომ თვითკმარი ქვეყანა ვიყოთ, ვიღაცეებისთვის ამდენი ანგარიშების გაწევა არ დაგვჭირდებოდა. აი, აქედან დავიწყოთ სახელმწიფოზე ლაპარაკი და არა იქიდან, რუსი თუ თურქი რას იტყვის. საერთოდ, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ რუსის და თურქის ინტერესი კავკასიაშიც დაუპირისპირდება ერთმანეთს, იმას საერთოდ პოლიტიკასთან რა საქმე აქვს. მოცემულობა არის ასეთი — დილით ამოდის მზე. შენ, ადამიანო, თუ გინდა, ამ მზეზე დაიწვები, თუ გინდა ამ მზის სხივებით სარგებელს ნახავ ან საერთოდ დაემალები. შეგიძლია ძალიან დიდი სარგებელი ვნახოთ, გააჩნია, რა გვინდა. საუბრის ბოლოს კიდევ გავიმეორებ, ჩვენი მომავალი არ უნდა ავაგოთ იმაზე ვის რა წყინს და ვის რა უხარია. ჩვენი მომავალი უნდა ავაგოთ იმაზე რა ჭირდება ქვეყანას, რა ჭირდება ერს და ვიყოთ საკუთარ თავთან და მომავალ თაობასთან მართლები.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ დასრულდა!

ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ დასრულდა! ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სამყაროს შვებით ამოისუნთქა. მემორანდუმი, სირიის ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე გასულ კვირას რუსეთში, სოჭში გაფორმდა. თავიდანვე სათქმელია, რომ შეთანხმების მიღწევა იოლი არ ყოფილა — ექსპერტების დიდი ნაწილი თვლიდა, რომ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდებოდა. პესიმისტური პროგნოზის გამოთქმის საფუძველი მათ ნამდვილად ჰქონდათ. გაიხსენეს ორი კვირის წინ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის და სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს თურქეთში ვიზიტი. ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა პომპეოსთან შეხვედრაზე საერთოდ უარი თქვა და მოლაპარაკება მხოლოდ პენსთან გამართა. შედეგი ორაზროვანი იყო — შეთანხმდნენ საბრძოლო მოქმედების შეჩერებაზე და არა შეწყვეტაზე, მაიკ პენსი, მართალია ერდოღანს დაწესებული სანქციების მოხსნას დაპირდა, მაგრამ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თურქეთს სანქციების გამკაცრებით დაემუქრა. ერდოღანზე განაწყენებულმა პომპეომ ცეცხლზე ნავთი დაასხა თავისი განცხადებით: „...დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციების გარდა, თუ საჭირო გახდება პრეზიდენტი თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალასაც გამოიყენებს“.

საგულისხმო იყო დონალდ ტრამპის განცხადება: „...თურქეთი თუ გააკეთებს რაც დაუშვებელია, ჩვენ მკაცრ ზომებს მივიღებთ. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრი ქვეყანაა და გვაქვს ფართო სავაჭრო ურთიერთობა, ისეთ სანქციებს დავუწესებთ, რომელიც სხვა ბევრ ქვეყანას ჯერ არ უნახია“. ექსპერტები თურქეთის განაწყენების მიზეზად ასახელებენ. ასევე იმ გარემოებას, რომ წლებია ქვეყანას ევროკავშირში მიღებაზე უარს ეუბნებიან, რომელსაც დაჟინებით ითხოვდა თურქეთის ხელისუფლება. პესიმისტების აზრით, თუ აშშ-მა ვერ შეძლო მოკავშირე ქვეყნის დაყოლიება, სხვები როგორც შეძლებდნენ, აეძულებინათ თურქეთი შეწყვიტოს ცეცხლი რეგიონში, რომლის შედეგის პროგნოზირება შეუძლებელი იყო.

მსოფლიოს ძირითადი ყურადღება გასულ კვირას სოჭისკენ იყო მიპყრობილი, სადაც უნდა გარკვეულიყო არამხოლოდ რეგიონის, არამედ სამყაროს მომავალიც. იმდენად ფეთქებადსაშიში ვითარება იყო, ახალი, მესამე მსოფლიო ომი თუ არა, შეაძლებელი იყო ბრძოლები რეგიონში ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაზრდილიყო, რომლის შედეგის პროგნოზირება შეუძლებელი იყო. ამის გარდა, რუსეთში გამგზავრებამდე ერდოღანმა ერთობ მკვეთრი განცხადება გააკეთა: „...დასახული მიზნის მისაღწევად თურქეთს ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს“. გამონათქვამს ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, რადგან რეჯეფ ტაიფ ერდოღანისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინს საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვთ. ამასთან, წლეულს პრეზიდენტები ერთმანეთს მეშვიდედ ხვდებოდნენ. რას ნიშნავდა ასეთი მკვეთრი განცხადება გაუგებარი იყო.

მოლაპარაკება სოჭში იოლად რომ არ წარიმართებოდა, თავიდანვე ნათლად ჩანდა. მიუხედავად მეგობრული დამოკიდებულებისა, შეხვედრისას ორივე პრეზიდენტს სახეზე დაძაბულობა აშკარად ეტყობოდათ, განსაკუთრებით ერდოღანს. ტრადიციულად, ქვეყნის მეთაურები შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს ზოგადი, ფაქტობრივად არაფრისმთქმელი ფრაზებით ესაუბრებიან. სოჭში კი ტრადიცია დაარღვიეს და განაცხადეს განიხილავდნენ სირიაში და საერთოდ რეგიონში არსებულ სიტუაციას, პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზებს.

დიალოგი პრეზიდენტებმა პირისპირ, დახურულ კარს მიღმა დაიწყეს, რომელსაც მხოლოდ პირადი თარჯიმნები ესწრებოდნენ. მათი საუბარი თითქმის 3 საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ მოლაპარაკებაში ორივე მხარის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები ჩაერთნენ. საერთო ჯამში მოლაპარაკებამ 7 საათს გასტანა. რაზე საუბრობდნენ და როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მინიშნებითაც არავინ ამბობდა. შეხვედრის დაწყებისას ორი ქვეყნის დელეგაციის წევრებისთვის უცნობი იყო. გაურკვეველიიყო რამდენ ხანს გასტანდა მოლაპარაკება. „გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან პრეზიდენტები“, პასუხობდნენ ჟურნალისტებს ოფიციალური პირები.

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ თურქეთის და რუსეთის მხარეებმა მიიღეს ათ პუნქტიანი მემორანდუმი, რომელიც ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. შეთანხმების მიხედვით, უკვე შეწყდა საბრძოლო მოქმედებები, თურქეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ვერ ხედავენ აქტიური საბრძოლო მოქმედებების გაგრძელების აუცილებლობას. ამასთან, ქურთი მებრძოლები შეიწევენ სირიის შიგნით, თურქეთის საზღვრებიდან 30 კმ. დაშორებით. სირია-თურქეთის საზღვრის მონაკვეთებს ერთობლივად გააკონტროლებენ რუსეთის და თურქეთის სამხედრო პოლიციელები, სირიის სამთავრობო ჯარებთან ერთად. ახლო მომავალში ჩაიკეტება ერაყთან საზღვარი. მემორანდუმის პირველი პუნქტია — სირიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, სირიისა და თურქეთის უსაფრთხოება, ტერორიზმთან ბრძოლის გაგრძელება.





„გაგებით ვეკიდებით თურქეთის სურვილის უზრუნველყოფის უსარფხოება თავისი ქვეყნის საზღვრებთან — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე — მემორანდუმში არის თურქეთის უსაფრთხოების და სირიის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქურთები მრავალეროვანი სირიის განუყოფელი ნაწილია“ „...ჩვენ სხვა ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობას არ ვაპირებთ და არც გვინდა, თუმცა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თურქეთის საზღვრებთან არ იყვნენ ტერორისტები, მათგან საფრთხე არ დაემუქროს ჩვენს ქვეყანას“ — თქვა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა.

ცნობილი გახდა, თურქეთი ახლო მომავალში დააბრუნებს სირიელ ლტოლვილებს, რომლებიც მათ ქვეყანაში არიან. პრობლემას წარმოადგენს ასევე ქურთების ტერიტორიაზე განთავსებული დევნილები, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ციხეებში მყოფ ტერორისტებს გადასცემენ ქვეყნებს, საიდანაც არიან ჩასულები, თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ პროცედურა იოლად არ განხორციელდება, რადგან არავის უნდა დამნაშავეთა დაბრუნება.

მიღებული მემორადუმით ყველა მხარე კმაყოფილი დარჩა. მოლაპარაკების დასრულებისთანავე პუტინი ტელეფონით ესაუბრა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადს და გააცნო შედეგები. სირიელები თავდაპირველად შიშობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას. მიღებული მემორანდუმით კმაყოფილი დარჩნენ. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა რუსეთს ქურთების წარმომადგენელმა. მიმომხილველები თურქეთის პოზიციამ გააოცა — ახლო წარსულში ერდოღანი ასადის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო, ითხოვდა მის გადადგომას, ახლა სირიის ტერიტორიულ მთლიანობას ემხრობა. მოლაპარაკების შედეგებით კმაყოფილი დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელმაც კარგ ამბად შეაფასა პუტინ-ერდოღანის შეხვედრის შედეგი.

დასავლური პრესა სოჭში მოლაპარაკებას რუსეთის დიპლომატიის ტრიუმფად აფასებს. CNN-მა აშშ-ს ადმინისტრაცია ხელმოცარულად მოიხსენია. თურქეთის პრესა თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ გამარჯვებად აფასებს სოჭის მემორანდუმს. ექსპერტების შეფასებით, მოგებული პირველ რიგში სირიის მოსახლეობაა, რომელიც გადაურჩა ახალ სისხლისღვრას.

კიდევ ერთი მოვლენა, რამაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. გასულ კვირას სოჭში ისტორიაში პირველად გაიმართა რუსეთ-აფრიკის სამიტი. „შავ კონტინენტზე“ 54 ქვეყანაა და რუსეთში ყველა ჩავიდა. აქედან 43 სახელმწიფო პირველი პირებით იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონტინენტზე რუსეთის გავლენა შემცირდა. ასეთი მაღალი დონის შეკრება, რომელიც ეგვიპტის პრეზიდენტის აბდელ ფატიხ ას სისის და პუტინის ინიციატივით გაიმართა, ახალი კავშირების დამყარებას ემსახურება. ამიტომაც წერდა ინგლისური პრესტიჟული გამოცემა „ფაინლეიშ ტაიმსი“ რუსეთი აფრიკაში საფუძვლიანად ბრუნდებაო.



„კუდიანებზე ნადირობა“ აშშ-ი კვლავ გრძელდება. დემოკრატები ყველაფერზე მილიან, რათა, როგორმე მიაღწიონ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტს. კონგრესმენებმა სასამართლოს მეშვეობით მიიღეს სპეცპროკურორ მიულერის მოხსენების სრული ტექსტი, რომლის გამოყენებაც ტრამპის საწინააღმდეგოდ უნდათ. გასულ კვირას კონგრესის დაზვრვის კომიტეტის სხდომაზე პენტაგონის თანამშრომელის მოსმენა იყო დაგეგმილი. (კომიტეტის სხდომები სრულიად გასაიდუმლოებულია, არანაირი აპარატურის ქონა და უცხო პირების ყოფნა არ შეიძლება). რესპუბლიკელ კონგრესმენებს მოსწყინდათ თავის მართლების რეჟიმში ყოფნა, 30 მათგანი შეიჭრა კომიტეტში და ფაქტობრივად ჩაშალეს სხდომა. მათი მოთხოვნა იყო გაესაჯაროებინათ მოსმენა. ამის გარდა, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო მოკვლევა რამდენად კანონიერი იყო მიულერის ჯგუფის შექმნა და მისი მუშაობა. მიმომხილველების ინფორმაციით, ახლა აშშ-ი დემოკრატები მსჯელობენ, როგორ მოიცილონ ტრამპი სამხედრო გადატრიალებით თუ იმპიჩმენტით. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ თავად დემოკრატები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში არიან. ამერიკელ პოლიტოლოგ არიელ კოენის განცხადებით, ტრამპის წასვლით აშშ-ი პოლიტიკური ვითარება არ გამოსწორდება და ფაქტობრივად არაფერი შეიცვლება, რადგან ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ხოლო დემოკრატიული პარტია თავად განიცდის ღირსეული პოლიტიკოსების დეფიციტს. როგორც ვხედავთ სამყაროში პოლიტიკური ვითარება სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება, რამაც უნდა დააფიქროს ჩვენი ხელისუფლება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# გალობა დანთებულ ღუმელში



თანამედროვეობა, ულმერთო საზოგადოების საშინელებაა, ეს სიტყვები ოცდათექვსმეტი წლის კლასიკური მწერლობის სპეციალისტს, **ანტუან მარტინს** ეკუთვნის, რომელიც ავტორია წიგნისა „გალობა დანთებულ, გახურებულ ღუმელში“. მისი აზრით, ისტორიული, ასე თუ ისე ქრისტიანული საფრანგეთის სიძულვილით შეპყრობილი ფრანგი რევოლუციონერების მიერ მოწყობილმა მხეცურმა დექრისტიანიზაციამ საშინელი დარტყმა მიაყენა ფრანგთა და არა მარტო ფრანგთა ფსიქიკას.

თანასწორობის და ადამიანის უფლებების კომისიის ხელმძღვანელებმა აღიარეს რომ დიდი ბრიტანეთის ზოგი კანონი მავნეა ქრისტიანებისთვის რომლებსაც ეშინიათ თავისი რწმენის გამჟღავნება კოლეგებთან და რომლებიც დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. ამ კომისიის მიერ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევისას მრავალმა ბრიტანელმა განაცხადა, რომ ისინი არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, რომ მათ მასხრად იგდებენ, დასცინიან მათი რწმენის გამო. ქრისტიანები გრძნობენ რომ მათ რელიგიას აღარა აქვს ცენტრალური ადგილი როგორც ეს იყო საუკუნეების მანძილზე როდესაც ის იყო ცხოვრების, კულტურის ქვაკუთხედი …გამოკითხულების თქმით მათ შვილებს რეგულარულად იგდებენ მასხრად მათი ქრისტიანული რწმენის გამო. დიდ ბრიტანეთში ქრისტიანებს სამართლებრივად, სასამართლოს გზით ჩაგრავენ. ვითომ უმცირესობათა უფლებებს აყენებენ ქრისტიანების უფლებებზე მაღლა. ბელფასტის საკონდიტრომ არ მოინდომა გამოცხობა ნამცხვრისა რომელიც „შემკული“ უნდა ყოფილიყო ჰომოსექსუალური „ქორწინების“ მაქებარი ლოზუნგით. საკონდიტროს სასამართში უჩივლეს. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებმა მრავალჯერ არ აღიარეს ქრისტიანთა უფლებები და განაცხადეს რომ რელიგიურ უფლებებზე წინ სხვა „უფლებებია“.ანგარიშს ასევე მოჰყავს მაგალითი იურიდიული კაბინეტისა რომლის თანამშრომლებსაც აუკრძალეს შობის აღნიშვნა იმიტომ რომ ეს შეიძლებოდა აღქმულიყო როგორც ქრისტიანობის პროპაგანდა. ორგანიზატორებს რომ არ გაეჯავრებინათ არაქრისტიანები შობის დღესასწაულისთვის სახელად უნდა ეწოდებინათ წლის დასასრულის დღესასწაული.. აი ეგეთი ტოლერანტული პლურალიზმია დღეს ევროპაში – ამბობს **ანტუან მარტინი**.





ძველია ის რომ ადამიანს უნდა ღმერთად გახდომა თავისი შემოქმედი მამაზეციერის ადგილზე დასკუპება. ეს ცდუნებაა თავდაპირველი, საწყისი ცოდვის შინაარსი. ამაზე მოგვითხრობს ბიბლიის შესაქმის წიგნი, წიგნი დაბადებისა. სიახლე ისაა რომ ახლა, როგორც არასდროს, კაცობრიობის ისტორიაში ეს ტენდენცია იქცა საზოგადო, გაბატონებული, მენტალობის ნაწილად. ჩვენ დილიდან დაღამებამდე ვსუნთქავთ ამ ტენდენციით გაჟღენთილი ჰაერით. ამ ტენდენციას ნახავთ სექსუალურ განთავისუფლებებშიც, მიმდინარეობა ტრანსჰუმანიზმშიც და ეკონომიკურ ჰიპერლიბერალიზმშიც რომელიც გვარწმუნებს იმაში რომ მას აქვს ყველაფრის ყიდვის და გაყიდვის უფლება. ეს ტენდენცია ჩნდება სრულიად მოულოდნელ ადგილებშიც, მაგალითად სწავლების, პედაგოგიკის მეთოდებშიც.პედაგოგიკის ახალ მეთოდების მიზანი აღარაა ცოდნის და წინაპრების მიერ დატოვებული კულტურული სიმდიდრის ბავშვებისთვის გადაცემა. მასწავლებელთა მოსამზადებელ ინსტიტუტებში იდეა ცოდნის გადაცემაზე მასხრად ასაგდებ და საგინებელ ჩამორჩენილ მოფაშისტურო რამედ, ცუდ სიტყვად იქცა. ახალი საგანმანათლებლო უტოპიების თანახმად ბავშვს არ უნდა ასწავლო სოკრატე, დეკარტე, ბალზაკი… ბავშვი აღარაა ის ვინც ვიღაცისგან იღებს რაღაცას. ბავშვი აღარაა ის ვინც რაღაცას იღებს ოჯახისგან, ვინც რაღაცას სწავლობს წიგნებიდან. ყველაფერი ხდება ისე თითქოს ბავშვი გაჩნდა სამყაროში რომელიც არ არსებობდა მის გაჩენამდე. ბავშვს თითქოს შეუძლია საკუთარი კანონების გამოგონება და მას თითქოს არ სჭირდება არსებული კანონების მოკრძალებულად სწავლა. ცხადია რომ ადამიანის მიერ საკუთარი თავის ღმერთად წარმოდგენა ეფუძნება ფუნდამენტურ ტყუილს რაც გარდაუვლად, აუცილებლად იწვევს ადამიანის დაცემას.პედაგოგიკის, აღზრდის ახალმა მეთოდებმა ბავშვი აქციეს თავხედ უვიცად. ადამიანის უფლებები ადამიანის გალმერთებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

აბორტი და ევთანაზია პირდაპირ უპირისპირდება 10 მცნების არა კაც-ჰკლა-ს. მათი გავრცელება ახასიათებს მენტალობას ადამიანისა რომელსაც თავისი თავი წარმოუდგენია ღმერთად. ღმერთს კი სწირავენ მსხვერპლს, მათ შორის მსხვერპლად სწირავენ ადამიანს. საკუთარი თავის ღმერთად წარმომდგენი ადამიანი აბორტით და ევტანაზიით მსხვერპლს სწირავს საკუთარ კომფორტს. ძველი ისტორია აბორტს აკავშირებს კუდიანობა-ჯადოსნობასთან. ეს ისტორია არ დამთავრებულა. ეხლახანს გაკათოლიკებულმა ყოფილმა სატანისტმა ქურუმმა ვინმე ზაქარი კინგმა გაიხსენა თავისი წარსული: მან აღიარა რომ მათ შორის კლინიკებშიც აკეთებდა რიტუალურ აბორტებს.ეს მსხვერპლშეწირვა დაკვეთილი იყო ამა სოფლის ძლიერთა მიერ. მათ უნდოდათ ამით დიდების, წარმატების მოპოვება. ცხადია რომ ეს პრაქტიკები რჩება მარგინალურად, მაგრამ ესაა აისბერგის ნაწილი. ის ავლენს იმას რაც რჩება ყოველ აბორტში სულიერ პლანში. ქრისტიანული საზოგადოების ნარჩენების მკვლელებმა მოიგონეს ძალიან საშიში, სქესის თეორია. დღევანდელ ინდივიდს აღარ უნდა არავითარი საზღვარი, არ უნდა არც საკუთარი მეობის საზღვარი. რომის იმპერატორები გააგიჟა ძალაუფლებამ და მათ ხელთ არსებულმა შესაძლებლობებმა რომის იმპერიაზე ა.წ.37–41 წლებში გაბატონებულ იმპერატორ კალიგულას, მეგალომანიით შეპყრობილ უზნეო, გახრწნილ მანიაკს სურდა ღმერთობა. ის ისტორიაში დარჩა როგორც დეკადენტი ტირანი.

ის თავს თვლიდა ღმერთების თანასწორად. რომის ფორუმზე მდგარი კასტორის და პოლლუქსის ტაძარი მან გადააქცია თავისი საკუთარი სასახლის გაგრძელებად. იქიდან ის გაოგნებულ გამვლელ-გამომვლელებს ესალმებოდა ხოლმე იუპიტერის სახელით. სულ ოთხ წელში მან მოახერხა მთელი ხალხისთვის საძულველ ვინმედ გადაქცევა. მისმა ტრაგიკულმა დასასრულმა არ დაადარდიანა არავინ, არც მისი საკუთარი ოჯახის წევრები რომლებსაც ის ემუქრებოდა შემდეგი ფრაზით:„ ეს ლამაზი თავი მოკვეთილი იქნება როგორც კი ვბრძანებ“, ეს ფრაზა მოიყვანა ისტორიკოსმა სვეტონიუსმა.არადა კალიგულა ვერ გახდებოდა იმპერატორი რომ არა მის საკუთარ ოჯახში მომხდარ მკვლელობათა და არამზადობათა სერია. და როგორ არ უნდა გაგიჟდე როდესაც მსოფლიოს ბატონად მოუმზადებლად ხდები ოცდაოთხი წლის ასაკში?

მან თავის საყვარელ ცხენს ოქრო ვერცხლით და ძვირფასი ქვებით აუშენა საჯინიბო, შემოსა ის ძვირფასი სამოსით. ამით კალიგულა ამბობდა რომ მისი ცხენი სენატორებზე უფრო ძვირფასია და საჭირო.

მან გადაწყვიტა ცხენის გამოცხადება კონსულად. ეს პროვოკაცია აღქმული იქნა როგორც სიგიჟის მწვავე ფორმა, მაგრამ ეს უფრო იყო სენატორების დამცირება-ჩაწიხლვის სურვილი. კაპრიზე ყოფნისას კალიგულას უხდებოდა სადილობა იმპერტატორ ტიბერიუსთან, ტკბილი საუბრით გართობა იმისა ვისი ხელებიც დასვრილი იყო მის ახლობელთა სისხლით. შურისძიების წყურვილი და სწრაფვა განუყოფელი ბატონობისკენ იმდენად იყო გადახლართული რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულები შეიძლებოდა მოტივირებული ყოფილიყო როგორც სიძულვილით ისე უმიზეზო სისასტიკით, მას უნდოდა დამტკიცება იმისა რომ ღმერთების სწორს, მას ჰქონდა ნებისმიერის მოკვლის უფლება. მისი სადიზმი უაღრესად რაფინირებული იყო. კალიგულა მამებს აყურებინებდა მათი შვილების სიკვდილით დასჯას და შემდეგ მათ შვილების მკვლელობის მაყურებელ მამებს პატიჟებდა სადილად რათა მათ ის გაერთოთ. კალიგულამ გადაწყვიტა თავდასხმა მის თაყვანისმცემელ ლეგიონებზეც. გერმანიაში ერთადერთი მოგზაურობისას მას უნდოდა გერმანიკუსის ყოფილი არმიის გაწყვეტა იმიტომ რომ ის აჯანყდა ტიბერიუსის მოსვლისას ანუ კალიგულას ბავშვობაში და უკვე იმპერატორს ტანჯავდა მამამისის ავტორიტეტის ამ შეურაცხყოფის გახსენება. მაგრამ ლეგიონერებს არ უნდოდათ დასჯილი ყოფილიყვნენ ოცდახუთი წლის დაშვებული შეცდომის გამო და ისინი იმუქრებოდნენ ხმლის გაშიშვლებით. შეშინებულმა კალიგულამ გადაიფიქრა და შური იძია თავის მცველებზე… კალიგულა მოკლეს სწორედ მისმა მცველებმა.



„ანცობდა“ რომის იმპერატორი ნერონიც. მან ერთხელ ცოლად ქალი მოიყვანა, მერე მან დაასაჭურისა ბიჭი სპორუსი, გამოაწყო ქალად და ის მოიყვანა ცოლად. ბოლოს მან გადაწვა თავისი იმპერიის დედაქალაქი რომი, გაწყვიტა ქრისტიანები და მოკლა საკუთარი დედა. ეს იმპერატორია დღევანდელი ლიბერტარის მოდელი. დღევანდელი ლიბერტარი ბაძავს იმპერატორ ნერონს.

გავიხსენოთ მაიკლ ჯექსონი და ესთეტიკური ქირურგიის მისი მრავალი ოპერაცია. გავიხსენოთ თუ რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს ტრანსსექსუალურ ოპერაციას. უკვე დაიწყეს პირუტყვების და ადამიანების ჰიბრიდების შექმნა. ასე მივალთ გამხეცებამდე და არა გალმერთებამდე. ტრანსჰუმანიზმი გახლავთ თანამედროვე უკანონობა. დღეს ბიზნესის სფეროში ძალიან აქტიური ეს იდეოლოგიური მიმდინარეობა. ტრანსჰუმანიზმის მიზანია ადამიანის „გაზრდა“ და მისი უნართა გაძლიერება.

ტრანსჰუმანიზმი გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერი მოძრაობაა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი შთამაგონებელი **Google**-ის ტექნიკური დირექტორი **რეიმონდ კურცვეილი**, გახლავთ მას ეკუთვნის ფრაზა „ღმერთი არსებობს? ჯერ არა.“ტრანსჰუმანისტების მტკიცებით ადამიანი არაა ღმერთის ქმნილება და ის უნდა იყოს საკუთარი თავის შემოქმედი.

და ბოლოს, ორიათას წელზე მეტია რაც ქრისტეს ეკლესია იბრძვის ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ეშმაკმა შეცვალა ბრძოლის მეთოდები და შეეცადა შიგნიდან გაეტეხა ეკლესიის სიმტკიცე კაცთა მოდგმის მტერმა კი, რაკი ხანგრძლივი და წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ დაინახა, მას უდიდესი მზაკვრობით შემოაქვს ჩვენი ეკლესიის წიაღში ეგრეთ წოდებული „ნეო-ქრისტიანობა”, რომლითაც ცდილობს შეცვალოს ჭეშმარიტი ქრისტიანობა, ამასთან რაღაც „ახალი ეპოქის” დადგომასაც კი აცხადებს ქრისტიანობაში, როცა ყოვლივე ის, რაც წარსულიდან მიგვიღია, უნდა დავიწყებას მიეცეს და უარყოფილ იქნას როგორც ვითომცდა „მოძველებული” და „საწინააღმდეგო თანამედროვე ცხოვრებისა”, ანუ ისეთი რამ, რაც „ამუხრუჭებს კაცობრიობის პროგრესს”!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# რა სპექტაკლებს დგამენ „ტაქსისტი“ ქაცარავა და „ჩახდილთა საძმო“ შიდა ქართლში?

შს მინისტრის ვახტანგ გომელაურის განცხადებას, არასწორია იმის თქმა, რომ ტერიტორიებს ახლა ვკარგავთ, ოსურ-რუსული მხარე მავთულხლართებს სადაც ავლებს, ეს ტერიტორიები 2008 წელს დავკარგეთო, სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოყვა. „გაავლებენ ხოლმე ღობეს 100 მეტრზე რუსები და ოსები, მაშინვე იწყება იმაზე საუბარი, რომ სახელმწიფომ დაკარგა ახალი ტერიტორია, სინამდვილეში ეს ტერიტორიები აგვისტოს ომის შემდეგ დავკარგეთ, ეს ალბათ კარგად უნდა აიხსნას და შეიძლება მთავრობის ასახსნელიც არის ალბათ“, აღნიშნა მინისტრმა.

ეს ე.წ. მცოცავი ოკუპაცია, როგორც კოლექტიური ნაცები უწოდებენ, მათი ჰალსტუხიღეჭია, გორის ქუჩებში მფორთხავი ბელადის „დამსახურება“ რომ არის, საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილმა დიდი ხანია იცის, „საერთო გაზეთიც“ არაერთხელ წერდა ამის შესახებ. უბრალოდ, ნაცჯალათებს არ უნდათ ამის აღიარება და ცდილობენ საკუთარი „ფანკლუბის“ წევრებთან ერთად, დანარჩენი მოსახლეობაც „დააბოლონ“.

ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა მაქსიმ შევჩენკომ „ეხო მოსკვის“ ეთერში ისაუბრა ბოკერიასა და რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გავლენიან თანაშემწესის არკადი დვორკოვიჩის ალიანსზე და ისინი ომის ინსცენირებაში დაადანაშაულა. დვორკოვიჩის მამა ცნობილი საჭადრაკო არბიტრია, ბოკერია ცნობილი მოჭადრაკის ნანა ალექსანდრიას ვაჟი გახლავთ, ასე რომ, გიგასა და არკაშას „ალიანსი“, ღრმა, საბჭოურ-ჭადრაკული ბავშვობიდან იღებს სათავეს. 2008 წლის ომამდე აფხაზეთი კომუნისტების მმართველობისას დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არ იყო მთლიანი, ნაცხელისუფალთა მიერ კოდორის ხეობის ჩაბარების შემდეგ, აფხაზეთმა აღიდგინა „ტერიტორიული მთლიანობა“ და დამოუკიდებელ ერთეულად აღიარების წინაპირობაც შეიქმნა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იმიტომაც იცავდნენ კბილებით ხეობას სამართალდამცავი სტრუქტურები, თუ ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი „მონადირე“, რადგან მხოლოდ ეს ტერიტორია ქმნიდა ბარიერს, აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება-აღიარების საკითხში. „პატრიოტმა“ ნაცებმა დაშალეს ბატალიონი „მონადირე“, ხეობიდან განდევნეს მეომრები, შეიყვანეს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი დანაყოფი, რითაც თურმე დაირღვა მხარეთა შორის შეთანხმება. სააკაშვილოქრუაშვილმა ხელსაყრელი მიზეზი მისცეს რუსებს, რომლებიც მერე ხშირად აპელირებდნენ, ქართულმა მხარემ ხელშეკრულება დაარღვიაო. ნაცხელისუფლებამ მეტი „დამაჯერებლობისათვის“ კოდორის, ანუ დალის ხეობას სახელიც გადაარქვა და ზემო აფხაზეთი უწოდა, დაბა ჯვრიდან ხეობამდე მოასფალტებული გზაც გაიყვანეს, მოკლედ, „იზრუნეს“ აფხაზებსა და რუსებს „ზემო აფხაზეთის“ დაკავება რომ არ გაჭირვებოდათ, აგვისტოს ომის დროს კი, ერთი ტყვია არ გაუსვრიათ, ისე ჩააბარეს მტერს იქაურობა.

იგივე მოხდა ცხინვალის რეგიონშიც, 2006 წლიდან მოყოლებული მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე მოიხსენიებდა სამხრეთ ოსეთს, დღესაც ამ ტერმინით საუბრობე კოლექტიური ნაცებიც, მათი სატელიტები მედია თუ სამოქალაქო სექტორიდან, ასევე სხვა „დიდ“ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე სხვა პერსონებიც. ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებულ ავტონომიურ ოლქს მარტო სტატუსი კი არ აღუდგინეს მოღალატე ნაცებმა, რესპუბლიკის სტატუსი და ის ტერიტორიებიც უბოძეს, რომელიც არასდროს ყოფილა ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში. სააკაშვილმა და მისმა „ჯიბის“ ხელისუფლებამ, საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩაუტარეს ახალგამომცხვარ „რესპუბლიკას“ და დიმიტრი სანაკოევი დაუნიშნეს „პრეზიდენტად“.



ერთი სიტყვით, საქართველოს გამთლიანებისთვის „მებრძოლმა“ ნაცხელისუფლებამ, ყველა პირობა შეუქმნა სეპარატისტულ რეგიონებს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის, საომარი მოქმედებებიღა იყო საჭირო, მოღალატეობრივი გეგმის ხორცშესასხმელად. რესპოდენტთა განცხადებით, ქვეყნის გამყიდველი, მართლა კრემლის აგენტი და საერთოდაც, არაერთი ბატონის მსახური სააკაშვილი რუსების პროვოკაციას კი არ წამოეგო, თვითონ იყო ამ პროვოკაციის მონაწილე. ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყება 2006 წელსაც იგეგმებოდა, განსაკუთრებით სააკაშვილი და ბოკერია აქტიურობდნენ, მაშინ ჩავარდა გეგმა, თუმცა ორი წლის შემდეგ „ხორცი შეასხეს“, ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად, უამრავი ადამიანის, მათ შორის, მშვიდობიანიმოსახლეობის სიცოცხლეც შეიწირესო.

ყველაფერ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, აბა, რაღას დარბიან „ტაქსისტი“ დავით ქაცარავა და „ჩახდილთა“ საძმო შიდა ქართლში, რა სპექტაკლებს დგამენ, როცა მათი ბელადს ეს ტერიტორიები 2008 წლის ომამდე უკვე გაჩუქებული ჰქონდა? ეს კამუფლაჟიანი „ლომი“ და „ჩახდილები“ რომ კოლექტიური ნაცების „ასკოლკები“ არიან, ამას დიდი კვლევა-ანალიზი არ ჭირდება. ქაცარავას რომელიღაც ტვინგაცხელებული ფანი გამოესარჩლა, შეიძლება ნაციონალების დროს იყო გადაცემული ეს მიწები, მაგრამ ურეაქციოდ ხომ არ ვუყურებთ, როგორ ღობავენ რუსები და ოსებიო. ამ სუბიექტისთვის „რეაქციაგამოხატული“ ქაცარავა გმირია, განსაკუთრებით ალბათ მაშინ აფანატებს, როცა ქაცარავას „პატრიოტულ“ ბღავილს ისმენს, ყველანი აქ ჩამოდითო. მოსახლეობის საღად მოაზროვნე ნაწილისთვის (საბედნიეროდ, ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ), „ქაცარავა და კომპანია“ ჩვეულებრივი პროვოკატორები არიან, რომლებიც თავიანთი ქმედებით მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. მხოლოდ ნაცსექტის ფანკლუბისთვის და საზოგადოების მიამიტი წარმომადგენლებისთვისაა „უშიშარი ვითარცა უხორცო“ ქაცარავა პატრიოტი და გმირი, რომელსაც თურმე ოჯახი თვეობით მიტოვებული ყავს, სიცხესა თუ სიცივეში ველად არის გაჭრილი და ყველა ჩვენგანის საქმეს აკეთებს. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს „საქმის კეთება“, ან რაში უნდა შევეხიდოთ ქაცარავას ჩვენი „იქ“ ჩასვლით, ვერცერთი „ქაცმადიდებელი“ ვერ აგიხსნით. რაღაც არ გამიგია „ანტისაოკუპაციო ტაქსის“ შოფერს რუსი სამხედროები როკის გვირაბამდე ჰყავდეს მირეკილი და მათი კავკასიონის ქედსიქით გადარეკვაში ჭირდებოდეს „არაპატრიოტი“ ქართველების დახმარება. კოლექტიურო ნაცებო, თქვენს მდარე, იაფფასიან პატრიოტობას დიდი ხნის წინ გაუვიდა ყავლი, ასე რომ ქაცარავა, ჩახდილი „გირჩები“ და კუკურია-მანგო კი არა, მთელი სალიბერასტო ვერაფერს გიშველით. ეგ რუსებთან „შეურიგებელი მებრძოლი“ ქაცარავა არ ამხილა ირმა ინაშვილმა ფარისევლობაში შარშან თუ შარშანწინ, „ნივთმტკიცებად“ რუსული „ალფა-ბანკის“ წარმომადგენლებთან რესტორანში „სიამტკბილობის“ ამსახველი კადრებიც გამოუქვეყნა. „ოკუპანტოფობმა“ ქაცარავამ თავი იმით იმართლა, რა ვქნა, ბიზნესურთიერთობები მაქვს რუსულ „არაოკუპანტურ“ წრეებთანო. ბოკერიას კნეინა თამარამ რუსულ სახელმწიფო კომპანია გაზპრომს რომ მიყიდა „ტაბულის“ გარკვეული ნაწილები და „გაუბაზრდა“, გაირკვა, რომ ეს მდედრი „ნაცპატრიოტიც“ არ ყოფილა რუსეთთან კომერციული ურთიერთობის წინააღმდეგი. ნაცებო, მნიშვნელობა არ აქვს ევროპელი ხართ თუ ანტარქტიდელი, თქვენი ლოგიკით, საქართველოსთვის უპატიებელ ცოდვად რომ ითვლება რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენა და ბიზნესურთიერთობები, ქაცარავა, ტაბულა-ჩერგოლეიშვილი და კიდევ სხვანი თქვენი სექტიდან, რა „წითელი კოჭები“ არიან, რომ მათ ყველაფერი ეპატიებათ, „ინდულგენცია“ ვინ გასცა, პეტრიკელა ცაავამ, ნამხედრიონალმა იაკობმა თუ სხვა ნაცმამაომ?! იმიტომაც არ სჯერა ხალხს თქვენი პატრიოტობა-გმირობის. ქაცარავას მოსახლეობასთან მომხდარ ადრინდელ კონფლიქტებს თავი რომ დავანებოთ, ბოლო ხანს ატოცში, როგორც ქართლელები იტყვიან, მამა-პაპურ დაჟეჟვას რომ გადაურჩა, პოლიციელებს უნდა უმადლოდეს. სამშვიდობოს გამოსულმა ქაცარავამ და მისმა „ადიუტანტმა“, ნაცჟურნალისტმა ლაშა ბერულავამ კი „შეაჩვენეს“ ატოცელები, მაგრამ მეეჭვება მეორედ იქ ჩასვლა გაბედონ, მით უმეტეს



ისეთი ბაქიბუქით, როგორც ქაცარავას სჩვევია.

ფანფარონ ქაცარავას პროვოკატორი უძახეს და დაინტერესდნენ აგვისტოს ომის დროს სად იყო. ინტერნეტსივრცეში გავრცელდა უტყუარობაზე პრეტენზიის მქონე ინფორმაცია, რომ ქაცარავა იმ დროს თურმე რუსეთში ბრძანდებოდა, რომელიღაც რუსულ სერიალს იღებდნენ, სადაც ქაცარავა გმირი რუსი „ბოევიკის“ როლს ასრულებდა. ესეც თქვენი ოკუპანტთან „მებრძოლი გმირი“! ქაცარავას ატოცური „ეპოპეის“ შემდეგ, გორიდან დამიკავშირდა კარგად ინფორმირებული, სანდო წყარო, რომლის განცხადებით, „ლომგული“ ქაცარავა ჩვეულებრივი პროვოკატორია, რომელიც ნაცებთან ერთად, რუსების თამაშსაც თამაშობს, სამაჩაბლოელმა ოსებმა, რომლებსაც წლებია ვიცნობ, ძალიან სერიოზულმა ხალხმა, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ აღდგეს ქართულ-ოსური ახლობლური ურთიერთობები, რაც საუკუნეებს ითვლის მითხრეს, რომ „კომედიანტ“ ქაცარავას ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება უხდის „ჯამაგირს“ იმ „სპექტაკლებში“, რასაც ხან ხურვალეთთან აწყობდა, ხან წნელისთან და ხან ატოცში. ხომ ხედავთ წინასწარ როგორ გამოვარდება მათ საქმეს რომ არ აკეთებდეს, ასე არავინ „აბლატავებდაო“. ქაცარავას „გულმხურვალე“ მხარდამჭერების ორ პოსტს შემოგთავაზებთ, თუ როგორ აფასებენ ატოცელებს და თავად განსაჯეთ, ვინ ვინ არის. პირველ „პატრიოტი“, რომელსაც მხოლოდ ერთი ფოტო უდევს და მხოლოდ სახელის გამჟღავნებით იფარგლება, წერს, რომ ამათ (ატოცელებს და ა.შ.) შუაზე კი არა, სულ უნდა წაართვა სოფლები, ეს კურდღლები რა დღეში არიან. დაანახეთ მტრებს, რომ ვისაც გული შესტკივა, იმას როგორ ურტყავთო. ქაცარავას ეს „ფანი“ სად ბრძანდება გეოგრაფიულად, რომელ სოროშია შემძვრალი, ან ომის დროს სად იყო, კაცმა არ იცის და ეს მართლა კურდღელი, ლანძღავს იმ ადამიანებს, ვინც ჯერ ომის დროს შეატოვეს მშიშარა ნაცჯალათებმა პირისპირ მტერს და ახლაც არ იშლიან პროვოკატორობას, საფრთხეში აგდებენ იქაურებს. მეორე „პატრიოტს“, რომელიც საერთოდაც მოსკოვში ცხოვრობს, უმაღლესი განათლებაც იქ ჰქონია მიღებული, შემდეგი პოზიცია აქვს, რომ ესენი, ანუ ატოცელები, გასაყრელები არიან ციმბირში, აქ კი ნამდვილი ქართველები უნდა დაასახლო, ვინც თავს დადებს სამშობლოზე,




ხოლმე ქაცარავადაპროგრამებულივით იმ ტერიტორიაზე, სადაც მერე მავთულხლართებს გაბმას იწყებენ ე.წ. მესაზღვრეები. ცხინვალის „ხელისუფლებას“ სად აქვს ფული, თვითონაც რუსეთიდან ფინანსდებიან, ასე რომ, ქაცარავასთვის გადასახდელ ფულსაც რუსები აძლევენ ცხინვალის ადმინისტრაციასო“, აცხადებს წყარო.

ქაცარავას რუსებთან „ჩახუტებაზე“ ეჭვი, ბევრ ქართველსაც გაუჩნდა, ფეისბუქმომხმარებლები კითხულობენ, რუსები და ოსები გლეხებს საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან, ლამის საკუთარი ეზოებიდან იტაცებენ, ეს ქაცარავა რომ დაკუნტრუშობს თავისი „ამალით“ აღმა-დაღმა, ამათ რატომ არავინ ერჩის, საეჭვოა, ოსურ-რუსულ მხარეს მაგათი ეშინოდეთ, აგერ საერთაშორისო დამკვირვებლებიც კი დააკავეს ოსებმა. ეტყობა მაგათი კაცია ქაცარავა, მტერს მტერს დაუძახებს, მოყვარეს. ამ ერთუჯრედიან ვითომ კაცს საინტერესოა, ვინ მიაჩნია ნამდვილ ქართველად და ვის თვლის მტრად. მეეჭვება რუსეთი იყოს მისთვის მტერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა უნდა მოსკოვში? რაღაც არ მგონია, ეს „კრუხი“ ქართულ სპეცსამსახურებსს რეზიდენტად ყავდეთ იქ გაგზავნილი და სასიცოცხლო ინფორმაციებით გვამარაგებდეს. სხვათა შორის, თუ ფეისბუქპოსტებს გადავხედავთ, ნაცების ყველაზე „მწარე“ მხარდამჭერები რუსეთში ცხოვრობენ.ე.ი. ტყუილად არ ამბობენ საღად მოაზროვნე, ჭკუასაკითხავი ქართველები, კოლექტიური ნაცები თავიანთი „კრიშებზე“ მორბენალი ბელადით, რუსეთის სპეცსამსახურის აგენტურა და ელცინის ლიბერალური ფრთის ფილიალიაო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

* * *

— **მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსიდან ოჯახური ძალადობის მუხლი თავისი სანქციებით.**

მუხლი 1261. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

— **არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?**

— არა, არ შეექმნება. აგიხნით, რატომ: თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, დედა, მამა, ბებია, პაპა, მეუღლე, შვილი.

* * *

— **რა იგულისხმება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში?**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაა სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

* * *

— **ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს იტალიაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?**

— თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის იტალიაში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გიკონკრეტებთ, რომ თქვენი შვილიშვილის იტალიაში გასამგზავრებლად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

— **წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?**

— ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. აღნიშნულს დაგიკონკრეტებთ შესაბამისი სამართლერბრივი ნორმით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

— **მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

— **ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?**

— არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე- 6 ნაწილის შესაბამისად, "სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში".

* * *

— **სამოქალაქო კანონებს აქვთ თუ არა უკუქცევითი ძალა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

# გიული ალასანიამ პენსიით ნიკა გვარამიას „უბორნიის“ წილი იყიდა?!



შარშან თუ შარშანწინ გიული ალასანიას "პრავის" აღება მოუნდომებია. პრაქტიკულში დაუქირავებია ერთი ჩემი ნაცნობი. პირველივე გაკვეთილზე უთქვამს, ისე უნდა მასწავლო მანქანის ტარება და დაპარკინგება, ზედელაშვილმა შარი ვერ მომდოსო. ამას, ამ მასწავლებელს უპასუხნია, რას ამბობთ, ქალბატონო გიული, ზედელაშვილს კარგად ვიცნობ, მე მგონი, ნორმალური ადამიანია, შარი რატომ უნდა მოგდოსო? ეეეჰ, სულ ტყუილად გგონია ნორმალური, მაგან გამიშრო სისხლიო, – ამოუოხრია მიხოს დედიკოს.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, მე მას გავუშრე სისხლი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად (ამჟამად ყოფილად) წოდებული ვირგლა გაზარდა და კიდევ მას შემდეგ, რაც "გეპეის" შენობის ნაწილი



მიითვისა საakaძის მოედნის მიმდებარედ, მერე იქ საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის აშენება დაიწყო და გარშემო მაცხოვრებლები უკიდურესად შეავიწროვა. კიდევ იმიტომ გავუშრე სისხლი, რომ იქვე ბავშვებს სტადიონი ჰქონდათ ფეხბურთის სათამაშოდ და უაპელაციოდ დაანგრია, მოსრა და გაანადგურა. აღარაფერს ვამბობ სხვა უფრო მძიმე ცოდვებზე.

კი ცდილობს გიული, მანქანის ტარება-დაპარკინგება ისე ვისწავლო, არანორმალურმა ზედელაშვილმა შარი არ მომდოსო, მაგრამ მაინც არ გამოსდის, უფრო მეტ შარში ეხვევა. სხვათა შორის, ამასწინებზე ისე მიუგდია თავისი "რაში" საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასთან, სადაც ძალზედ ვიწრო გასავლელია, თურმე გვერდს ვერ აუვლიდით. გამოდის, ტყუილად იარა ჩემ ნაცნობთან, დაპარკინგება მაინც ვერ ისწავლა. სამაგიეროდ, ისწავლა კი არა და... რაც ოდითგან იცის, რაც სისხლში აქვს, ის გამოსდის – ფულის კეთება და ფონად წუწუნი, არაფერი გაგვაჩნია, შიმშილით ვიკაჭებითო. არადა, შვილიც ეგეთი ოხერი გაზარდა, ისიც სულ წუწუნებდა, სანამ მაიამის, უკრაინის, ნიუიორკისა და პარიზის სასახლეების სკანდალი არ გაუსკდა, სანდრა "ჩერდაკში" ცხოვრობს, თავი ძლივს გაგვაქვს, დედაჩემი თავისი პენსიით გვეხმარებაო. სკანდალის გახეთქვის შემდეგ ამ თემაზე მოკეტა, ბევრს აღარ ლაპარაკობს, მაგრამ პერიოდულად მაინც წაუწუწუნებს ხოლმე. ჰოდა, ამ ფონზე, გიული ალასანიამ ნიკა გვარამიას უბორნიის (ტვ "მთავარი არხის") წილი იყიდა იმ პირობით, რომ იქ 200 ათასი ლარის ინვესტიციას განახორციელებს. ინვესტიცია არა, იხვის ტოლმა, მიხომ "მთავარ უბორნიაში" ფული ჩადო, საარჩევნოდ ემზადებიან, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ეს ხელისუფლება უნდა დაამხონ. დარწმუნებული ვარ, ამ "თეთრი ფულის" გარდა, ათი და ასი ამდენი, "შავი მაყუთიც" წამოვა და დაიწყება ე.წ. საინფორმაციო ომი, ანუ ფეიკებით ბრძოლა "ქართული ოცნების" (ბიძინა ივანიშვილის) წინააღმდეგ. ამ ხროვას რა გამოუვა, ამის წინასწარმეტყველება ძნელი არ არის, მაგრამ ნერვებს რომ მოტ...ნავენ და ქვეყანას არევენ, ეს ცხადია.

მოკლედ, როგორც საჯარო რეესტრის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" ტელეკომპანიის 2%-ანი წილის მფლობელი გახდა. თავის მხრივ კი, საქართველოს უნივერსიტეტის 37,5%-ანი წილის მფლობელი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანიაა, 12,5%-ის – ნიკოლოზ ალასანია, ხოლო 50%-ის – მანანა სანაძეა. "მთავარი არხის" წილები ამ ეტაპზე ასეა გადანაწილებული:

51% – ნიკა გვარამია;
42% – კახაბერ ანჯაფარიძე;
2,5% – გიორგი რურუა;
2,5% – მარი ანა რურუა;
2% – შპს "საქართველოს უნივერსიტეტი".

როგორც საქართველოს უნივერსიტეტის 50 პროცენტიანი წილის მფლობელი მანანა სანაძე ამბობს, "მთავარი არხის" წილის შეძენა უნივერსიტეტის სტუდენტებს და თანამშრომლებს მეტ შესაძლებლობას გაუჩენს: "მე მგონი, ყველა უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მსგავსი ინტერესი. ჩვენი გვაქვს ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციების პროგრამა და ჩვენი სტუდენტების სტაჟირებისთვის, დასაქმებისთვის რატომაც არა"?

აჰა, ხედავთ? ალასანიას უნივერსიტეტი იქნება არა მხოლოდ გვარამიას უბორნიის დამფინანსებელ-ინვესტორი, არამედ კადრების სამჭედლოც. ამათი აღზრდილი და შემდეგ გვარამიასთან დასაქმებული ჟურნალისტები არ გაიშვნენ ამათსავე უბორნიამდე, მაგრამ ციციკორეს თქმისა არ იყოს, გიულის მოწაფეები რომ ე.წ. "მთავარ არხზე" მოეწყობიან და აცა-ბაცა დაიწყებენ ქაქანს, განა ქვეყანაში ბოზობა, წუმპიანობა, ჭუჭყი, ძონძი, სიცრუე, ორპირობა და ტალახი უფრო არ მომრავლდება? განა ჰაერი არ გაფუჭდება და ადამიანები უფრო არ დაკარგავენ რწმენას?!

ჰმ... ფული არ გვაქვსო, სანდრა "ჩერდაკში" ცხოვრობსო, ბიზნესი არ გვიკეთებიაო, 9 წლის განმავლობაში პატიოსნურს ვაწვებოდითო, თავი დედაჩემის პენსიით გაგვაქვსო, აღმა-დაღმა 200 ლარით დავეხეტებითო... არა, ამნაირი სიცრუე და ოღრაშობა გაგიგიათ? მახსოვს კადრები, როცა მიშა უკრაინიდან გააბუნძულეს, გიული კიევში ჩავიდა, მშენებარე სასახლე დაათვალიერა და გულამოსკვნილმა განაცხადა, უნდა გავყიდო, აწი აღარ დასჭირდება ბიჭსა, ამას ჩემი პენსიის დანაზოგით ვაშენებდი, ნახეთ, რა ღარიბული და ვიწროაო. ამ დროს არც ღარიბული იყო და არც ვიწრო, კაი ფეშენებელური სასახლე გახლდათ. როგორც ვიცი, არ გაყიდა, ესეც გაითამაშა, უბრალოდ ვიდეოზე ყველაფერი დააფიქსირა, რომ ვინმეს რამე არ წაეღო.

მოკლედ, ხელმოკლე გიულიმ, რომელიც თავისი პენსიით ამხელა ოჯახს ინახავს და პერიოდულად გაქსუებულ შვილსაც უგზავნის ხოლმე უკრაინაში, გვარამიას უბორნიაში 2 ათასი ლარი ჩადო და ვალდებულებაც აიღო, რომ უახლოეს ხანში 200-ათასიან ინვესტიციას განახორციელებს (აკი არ შემოდის საქართველოში ინვესტიციებიო?), რათა ეცადოს, ქვეყანაში ისევ დააბრუნოს თავისი ჯილაგი და განავითაროს ჯერაც არნახული დემოკრატია. პრინციპში, არნახული კი არა, უკვე ნახული "დემოტრაკია". ისე, იცოდეთ, სადაც ესენი ფულს დებენ, რამდენი პროცენტიც არ უნდა იყიდონ, მერე იწყებენ მბრძანებლობას. აგერ, თითქოს გუშინ იყო, მიშას ბებოს (მზიას) წილი რომ ჰქონდა რესტორან "წისქვილში", სანამ ხელისუფლება არ შეიცვალა 2012-ში, მანამდე ვერ გამოუშვეს, მანამდე ვერ ააგლიჯეს საზკვების ამ ობიექტს. ეგრე იციან, ამ ოღრაშებმა, თუ ერთი დაასხდნენ (ყვავ-ყორნებივით) ქვეყანას, სამუდამოდ თავიანთი ჰგონიათ, თუ ვინმე ღვთისნიერმა გაყარა, დააფრთხო, მოგვაშორა, ცოტა ხანს ფართხალებენ შეშინებულები, მაგრამ დროთა განმავლობაში ისევ იკრებენ ძალებს, ისევ ალაგებენ თავიანთებურად აზრებს და ისევ უჩნდებათ სურვილი დაბრუნებისა. თუმცა... 2012 წლის შემდეგ, ყოველ ჯერზე კოვზი ნაცარში უვარდებათ რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი – ველარ მიხვდნენ, ვინ გადააშენა, ვისთან აქვთ საქმე; მეორე – ველარ მიხვდნენ, რომ მათი დრო წავიდა; მესამე – ველარ ხედავენ, რომ მათი სიცრუე და ვირეშმაკობა აღარ ჭრის.

ჰოდა, რაკი ვერაფერს მიხვდნენ, ჩემო ტკბილო ხალხო, იყონ და ითამაშონ ჭვავის ყანაში კი არა, თავიანთსავე შექმნილ ტლაპოში!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983